ბლეი

ყოველ-კვირეული ქრონიკული

3 (ค)

1913 ตรม.

1. [illegible] N 6, 33. 9 (ปรับปรุงใหม่ N 13)
2. [illegible] N 4.
3. [illegible] N 8,
4. [illegible] N 8.
5. [illegible] N 9. 33. 2.
6. [illegible] N 9. 33. 6
7. [illegible] N 11.
8. [illegible] N 41, 42.)
9. [illegible] - 33. [illegible] N 20 33. 16.
10. [illegible] N 30)
11. [illegible] 1913 6. N 28)
12. [illegible] 1913 6 N 37.
13. [illegible]

[illegible] 33. 16, N 13

[illegible] 33. 15



ᲡᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ
ᲐᲠᲐᲒ. ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ᲥᲝᲜᲯᲘ

ᲥᲝᲜᲯᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

№ 1

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

	1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.	ცალკე №
	5 მან.	2 მ.75	1 მ.50	50 კ.	10
სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ	4 მან.	2.50 კ	1 მ.	40 კ	10

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ე ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ჟ უ რ ნ ა ლ

„გ ა ნ თ ი ა დ ზ ე“

(წელიწადი პირველი)

დ ა ე ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ გ ა ზ ე თ

„ფინაურ საქმეებზე“

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მან. დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

№ 1

1 იანვარი 1913 წ.

ამ ნომერთან იგზავნება ფულის გადმოსაცემი ბლანკები. ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „კ ლ დ ე“, იანვრიდან აღარ გაეგზავნება.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

სამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: ჩვენი საჭიროება.—**შ. ამირეჯიბისა.** დროებით ვალდებულნი.—**ალ. ყიფშიძისა.** ახალგაზრდობას.—**დექსი კ. ბმაყაშვილისა.** უკანასკნელი შუქი.—**ეკ. გაბაშვილისა.** ქრონიკა. ქალთა საკითხი.—**რ. გ—ესი.** ჩვენ „საზოგადოებათა“ მიმოხილვა.—**მროველისა.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. **ინ—სანისა.** სხვისა მასიამოვნებელი. (თარგმ. ჯერომ-ჯერომიდან) **ი. სონლულაშვილისა.**

ჩვენი საჭიროება

მიუხედავად ჩვენი ჟურნალის ხან მოკლე არსებობისა, ჩვენ იძულებულნი ვიყავით აგვენიშნა იმდენი საჭიროება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ხასიათისა, რომ მათ სისრულეში მოყვანისა და განხორციელებისათვის, რამდენიმე თაობის შრომა იქნებოდა საჭირო.

ეს ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს ჩვენი ცხოვრების გართულებას და მრავალფერობას. თანამედროვე ქართველი საზოგადოება ის აღარ არის, რაც იყო ოცი-ოცდა ათის წლის წინად. შეიცვალნენ ადამიანები, შეიცვალნენ ფაქტები. ძნელი წარმოსადგენია სადამდის მიაღწევს განვითარება ჩვენის საზოგადოებისა, მაგრამ ერთი რამ აშკარა და ცხადია—წარსულ თაობათაგან ჩვენ განვსხვავდებით იმით, რომ თანამედროვე საზოგადოებამ უკვე გარკვეულად იცის თავისი წადილი. ეჭვი არ არის, რომ ამ შეგნებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. საჭიროა ეს შეგნება იქცეს მტკიცე პოლიტიკურ აზრად; მხოლოდ მაშინ იქნება ეს შეგნება ცხოველმყოფელი და დანიშნულება ჩვენის დროისა სწორედ ეს არის.

ჩვენ გვესაჭიროება დიდი სამზადისი ადგილობრივ, და რადგანაც პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარება უერთმანეთოდ არ ხდება, ამიტომ ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ ჩვენს ცხოვრებისთვის, რომელს უფრო აქვს უპირატესობა, დეპუტატს, მეურნეს, თუ მასწავლებელს.

მოგვითხრობენ ერთ ანეკდოტს მოძრაობის დროიდან. გლეხმა უთხრა აზნაურს:—ჰაი, შე ჩემ ზურგზედ გასუქებულოო! აზნაური ცოტა გონება მახვილი გამოდგა და უპასუხა: შენ ზურგზედ მკბენარი ვერ გასუქებულა, მე როგორ გავსუქდებოდიო! როგორი ცინიკურიც უნდა იყოს ეს ანეკდოტი, მასში მაინც, გასაოცარის სიცხადით არის გამოხატული სიღატაკე ჩვენის გლეხისა და რადგან ჩვენი ქვეყნის უმრავლესობას გლეხობა შეადგენს—მთელი ქვეყანისაც. ამ ანეკდოტში გამოიხატა არა მარტო ის ირონია, რომლითაც უცქერის ყოველი გაბატონებული კლასი მდაბიო ხალხს, არამედ უცნაურობაც ჩვენის ეკონომიურის დამოკიდებულობისა. როცა არსებობს ისეთი კლასი, რომლის მეოხებით უზრუნველად სცხოვრობს ნაწილი ერისა, მაშინ ეს ნაწი-

ლი მაინც უნდა იყოს „გასუქებული“ — ანეკდოტის სიტყვა რომ ვიხმაროთ. ნამდვილად კი არც ეს გაბატონებული კლასია გასუქებული. ქართველი თავად-აზნაურობა აქამდისაც ფარაონის იმ შვიდ მჭლე ძროხას მოგვაგონებს, რომლებიც მუცელში იდებენ სხვა შვიდ მსუქან ძროხას და მაინც მჭლე რჩებოდა. როცა, მიუხედავად კლასთა და წოდებათა არსებობისა, ქვეყანაში არ არსებობს სიმდიდრე თვით გაბატონებულ კლასში მაინც, ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ საწარმოო ძალები ქვეყნისა ფრიად სუსტნი არიან. ასეთი გარემოება კი ძალაუნებურად გვაყენებს ჩვენ კლასთა და წოდებათა ინტერესებზედ მაღლა და ჩვენი მზრუნველობის წინა რიგში აყენებს საზოგადო მდგომარეობას მთელის ქვეყნისას. დასკვნა ერთია: ჩვენ გვიხსნის მხოლოდ სიმდიდრე, რომელიც იმავ დროს არის მატერიალური წონა თანამედროვე კულტურისა.

წავიდნენ ის დრონი, როცა ერების სიმდიდრე სიგმირეში მდგომარეობდა და გმირობა კი არსებობის ერთად ერთი ნიჭი იყო. თანამედროვე ერმა დიდი ხანია დაკარგა გმირ რაინდის სანახაობა და იგი ეხლა უფრო გასათხოვარი ქალია, რომლის მშვენიერება მზითევის რაოდენობით იზომება.

საჭირო არ არის ლაპარაკი იმაზედ, თუ გაუნათლებლობაა მიზეზი ჩვენის სიღარიბისა, თუ სიღარიბეა მიზეზი ჩვენის გაუნათლებლობისა. ჩვენთვის საკმარისია ისიც, რომ ჩვენში იგინი თანამგზავრნი არიან. წარმოსადგენადაც ძნელია მეტი უვიცობა და სიბნელე, რომელიც არსებობს საქარველოში. ამის უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ ჩვენში, როგორც მთელ რუსეთშიაც, არ არსებობს სავალდებულო სწავლა-განათლება. მაგრამ რუსეთში არსებობს სამაგიეროდ ისეთი დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას უადვილებს სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში. ეს არის ერობა. ჩვენშიაც რომ ერობა იყვეს, იარაღი სწავლა-განათლებისა — სკოლები — ერთი ათად გამრავლდებოდნენ. მაგრამ ჩვენში სახალხო სკოლები ნაკლებ არიან და ჩვენი უვიცობის დიდს ლაბირინტში ისინი ოდნავ მბჟუტავ ჭრაქებს უფრო წააგავან, ვიდრე გზის მნათობელ ჩირაღდნებს.

ჩვენ სრულებითაც არა გვსურს ულოღიკობის ბრალი დავსდოთ მათ, ვინც მთელი თავისი ძალღონე ჩვენში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას შეალია — და ეს იმ დროს, როცა სახალხო განათლება უძრავ მორევშია ჩაფლული, მაგრამ, რომ „პროგრესიულმა ფორმულამ“ — უნივერსიტეტი ᲙᲜᲝᲑᲘᲐᲜ სახალხო-ეროვნულ სკოლასო — უფრო მეტი გავრცელება არ მიიღოს, იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ სახალხო სკოლა ჩვენთვის და ჩვენს პირობებში გაცილებით მაღალის მნიშვნელობისაა, ვიდრე უნივერსიტეტი და ამიტომ იგი უნდა შეიქმნეს მახლობელ მიზნად შეგნებულ საზოგადოებისა. ბულგარეთს აქამდისაც არა აქვს მედიკური ფაკულტეტი, მაგრამ სახალხო სკოლის მეოხებით იგი განვითარების მტკიცე გზაზედ სდგას და მომავალი სრული უნივერსიტეტი სოფიაში მხოლოდ გვირგვინი იქნება მისი განათლებისა.

ამ რიგად, სიმდიდრე და განათლება აი, ის ლიანდაგი, რომელზედაც უნდა შესდგეს ჩვენი ეროვნული მატარებელი, მანამდის კი, უამლიანდაგოდ, ჩვენ მუდამ „დამსხვრევა“ მოგველის.

მაგრამ, რადგანაც საქართველოს ბედის წიგნი მაკლერის წიგნაკი არ არის, სადაც აღნიშნულია, რა დღეს რა უნდა ისაქმო და საზოგადოთ განვითარება ერისა არასოდეს არ არის უზრუნველ ყოფილი შემავალ შემთხვევებისაგან, ამიტომ ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყენეთ ამ შემთხვევებისთვისაც და ამისთვის კი საჭიროა მტკიცე ეროვნული დისციპლინა. თუ რამე ახასიათებს ჩვენს ცხოვრებას, სწორედ ამ დისციპლინის უქონლობა. ქართული საზოგადოებრივი შეგნება ჯერ იმ განვითარებამდის არ მისულა, რომ იგი მთლიან აზრს წარმოადგენდეს. ამით აიხსნება ისიც, რომ ყოველი საკითხი, სადაც ერს ერთი სინდისი და ერთი სიტყვა უნდა ჰქონდეს, ჩვენში ამ აზრის დაქუცმაცებას იწვევს და ეს კი უსასტიკესი რეაქცია არის ჩვენის განვითარებისთვის. ამ ბოლო დროს ჩვენ ვიყავით მოწმენი მრავალ საზოგადოებრივ მოვლენათა, რომლებიც აშკარადა ხდიან ჩვენ აზრს.

ამის მიზეზი უმთავრესად ჩვენი პოლიტიკური გაუზრდელობა და მოუმწიფებელობა არის. და ეს არც ისე გასაკვირველია. ქართულ ინტელიგენციის ცხოვრება უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საშუალო საუკუნეთა კნეხტების ცხოვრებას ჰგავდა, რომლებიც ერთნაირის ერთგულობით იბრძოდნენ სხვა და სხვა დროშის ქვეშ. მაგრამ ისტორიამ გვიჩვენა, რომ მიზეზი ამისი იყო გამრყვნელი მნიშვნელობა სწორედ ამ მრავალ-დროშიანობისა. ბოლო ჰქონდა ამას საშუალო საუკუნეებში, ბოლო ექნება ამას ეხლაც — ჩვენში. და რაც უფრო ადრე შეერთდება დაქუცმაცებული მოწინავე საზოგადოება ერთ აზრის გარშემო, მით უფრო მალე იქმნება განხორციელებული ნახევარი მიზანი მაინც.

შ. ამირეჯიბი.

დროებით—ვალდებულნი

1861 წელს მოავრობამ მოსთხო რუსეთში ბატონ-ყმობა და ყმა-გლეხი გაანთავისუფლა ყმობა-მონობისაგან. ახალმა კანონმა განთავისუფლებულ ყმას განსაზღვრული ზომის ადგილ-მამული მიუზომა და დავალა—ამ მამულის შემოსავლით ემსახურა ჯერ ძველს მებატონეს, მერე სახელმწიფოს, ესე იგი იახლე სახელმწიფო გადასახადები და შეძლეგ ამისა არჩინე შენი თავი და ცოლშვილი. როგორც ჩხედავთ, ადვილი საზიდი არ იყო რუსის გლეხისათვის ეს ტვირთი იმ მამულის შემოსავლით, რაც მას მიუზომეს „დებულების ოქმებით“, ანუ უსტავნი გრამოტებით და აკი ვერცა ჩზიდა ეს ტვირთი „ახალმა მოქალაქემ“.

საზოგადოდ არც ძველმა და არც განახლებულმა რუსეთმა არ იცის დამთავრებული რეფორმა, როგორდაც არ ეხერხება ერთის დაკვრით და მოქნევით გადასჭრას ხოლმე მოშწიფებული საქმე. ასევე დაემართა საგლეხო რეფორმასაც, ანუ ბატონ-ყმობის გადავარდნა. ჰოლიტიკური და სამოქალაქო უფლებანი მიანიჭეს ყმა-გლეხს, ხოლო იმდენი მამულ-დედული არ მისცეს, რომ ეს უფლებანი განეხორციელებინა და ცხოვრებაში შეეტანა: მემამულე-ბატონს ზოგან ნახევარი მამული ხელუხლებელ საკუთრებად დარჩა, ზოგან კიდევ მესამედი და ამ სახით გლეხს ზოგან მარტო ნახევარი მოუჭრეს იმისა, რაც ბატონ-ყმობის დროს ეჭირა, ზოგან ორი მესამედი. მიწის მფლობელობის შემცირებას თავისი ბუნებრივი შედეგი მოჰყვა—ნივთიერი დაძაბუნება, ანუ ეკონომიური ბატონ-ყმობა.

1861 წელს კანონმა განთავისუფლებულ ყმას ნება დართო—შეგიძლიან შენის სურვილით და ნება-ყოფლობით და შენისავე ხარჯით და საფასით დაისხნა სახმარად მოცემული მამულ-დედული, ანუ როგორც რუსები ეძახიან „ნადელიო“. ოცი წელიწადი უცადა მთავრობამ, აბა ვნახოთ, როდის დაიხსნის ნადელს დროებით-ვალდებულიო, მაგრამ რაკი მოლოდინი გაუტრუკდა, ადგა და 1881 წ. იძულებით დაახსნევინა თავი გლეხკაცობას. მამულის ბატრონს ერთბაშად მისცა მამულის ღირებული ფასი, ხოლო გლეხებს ნაწილ-ნაწილ ახდევინებდა ვალს. სარგებელი ვალისა იყო 6%. მაშასადამე რუსეთში დროებით-ვალდებულობა გაგრძელდა სრული ოცი წელიწადი.

მთავრობამ 1886 წელს იძულებითვე შეასუდა სახაზინო გლეხებს სახელმწიფო მიწები და ამათაც ვალი უნდა ეხადათ იმ წესითვე, როგორც ნაყმევნი იხდიდნენ თავნსა და სარგებელს 49 წლის განმავლობაში. რუსის გლეხობამ ვერ აიტანა ამ ვალის სიმძიმე და მუდამ ერთს ვაი-ვაგლახში იყო. შეუტანელის გადასახადის რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა და მიდიოდა ხლებოდა. მრავალს შედავათს აძლევდნენ დავალიანებულ გლეხობას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, ვალი იზრდებოდა და გლეხს წელში სწყვეტდა.

ასეთი იყო გლეხის ვითარება, როდესაც დაიწყო სრულიად რუსეთის აჯანყება, ანუ ბუნტი 1905—1906 წლებში. ნაბატონარ და სახაზინო გლეხკაცობას ემართა ვალი მთავრობისა ამ დროს ერთი მიდიარდი და სამას მილიონ მანათზე მეტი (1.334.036.745 მან.). ადელვებულ და ბუნტის გუნებაზე დამდგარ გლეხკაცობის დასაამებლად და დასაცხრომად მთავრობამ მიმართა საგმირო დონის-ძიებას და აიღო და სრულებით აპატია ეს ამოდენა ვალი. ეს მოხდა 1905 წლის 3 გიორგობისთვის მანიფესტის წაკითხვით. მაშასადამე საქმე დაწყებული 19 ოებერვალს 1861 წელს დამთავრდა რუსეთში 3 გიორგობისთვეს 1905 წელს, ესე იგი ბატონ-ყმობის ამოვარდნას მთავრობა მოუნდა თითქმის ორმოცდა ხუთი წელიწადი. მარტო ნაბატონარმა გლეხკაცობამ შეიძინა საკუთრებად „ნადელი“ 33.193.773 დესეტინა. რადგან მთავრობამ ვალი აპატია 1905 წელს, გლეხკაცობას დესეტინა ნადელი დაუკლდა სულ რადაც 7 მანათი და ათი შაური. ჯერ-ჯერობით რეალური და თვალსაჩინო სარფა სრულიად რუსეთის 1905 წ. აჯანყება-ბუნტისა ეი ამ ვალის მოწყვეტაა და სხვა არაფერი.

——

ნაბატონარის ბედის მოწყობა საქართველოში ისევე ტაატით მიდიოდა, როგორც რუსეთში. ჩვენში ბატონ-ყმობა გადავარდა 1964 წელს 13 დეკემბერისთვეს. ამ კანონის ძალით ქართველ ნაყმევს გლეხ-კაცს ხუთჯერ ნაკლები ადგილ-მამული მიეზომა დებულების ოქმებით, ვიდრე რუსეთში. იქ თუ სულზე ანგარიშობდნენ მიწას, ჩვენში კომლზედ იანგარიშეს. თითოეულ კომლს, რამდენი სულიც უნდა ყოფილიყო, სარწყავი ათის დეესაზე მეტი არ ეძლოდა, ხოლო ურწყავი ოცის დეესა. ნამდვილად ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობამ გაცილებით ნაკლები მიიღო, ვიდრე კანონით ეკუთვნოდა, რადგან ზოგს ბატონს—მემამულეს იმდენი საკუთარი სახნავი არა ჰქონდა, რომ შეეგსო განთავისუფლებული გლეხისთვის ნადელი, იმერეთში ხომ ქართველმა გლეხმა გაცილებით უფრო ნაკლები მამული ჩაიბარა, ვიდრე ქართლ-კახეთში.

ჩვენშიაც, როგორც რუსეთში, 1864 წლის 13 დეკ-

ნობისთვის კანონმა უფლება მიანიჭა ნაუმევს ნებაუფლობით საკუთრებად შეეძინა თვისის ხარჯით, ან მოვრობის დახმარებით ნადელი. ამ კანონით ქართლ-კახეთში მხოლოდ ერთმა მეხუთედმა ისარგებლა, დანარჩენი გლეხ-კაცობა დღემდის დროებით-ვალდებულად ითვლებოდა და ბატონ-უმურ ჯაბანწყვეტაში იყო. ნადელების დახსნა გაცილებით კარგად მიდიოდა იმერეთში, სადაც რვა მილიონ მანათისაზე მეტი ნადელი დაიხსნეს, თუმცა იქაც დღემდის დაუხსნელი დარჩა თითქმის მესამედზე მეტი.

კანონი ნადელის იძულებით დახსნისა საქართველოში და სრულიად ამიერ-კავკასიაში შეიმუშავეს აქ, ხელმწიფის მოადგილის კანცელარიაში. უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც აშენებულია ეს კანონი, ის არის, რომ დესეტინა სანადელო მამულისა იმ ფასად უნდა დაიხსნას გლეხმა, რა ფასადაც ღირდა იგი მიწა შემოსავლის კვალობაზე 1864 წელს, ესე იგი ბატონ-უმობის გადაარღვევის დროს. ესაა მიზეზი, რომ დღევანდელი ფასი სანადელო დესეტინისა ერთი ორად და ერთი სამად ნაკლებია კანონით გამოანგარიშებული, ვიდრე იგი მიწა ჭღირს. მაგალითად დესეტინა ვენახისა კახეთში შეფასებულია 106 და 120 მანათად, ხოლო ქართლში—134 და 138 მანათად; სახნავისა—კახეთში 41—51 მანათად, ქართლში—კი 16—69 მანათად. რადა თქმა უნდა, რომ ასეთი ფასი არ შეეფერება მიწის დღევანდელ ღირებულობას განსაკუთრებით ვენახისა და სავენახე ადგილისა. სავენახე ადგილი ქართლში ერთი დესეტინა ჭღირს არა ნაკლებ 400 მანეთისა, ხოლო კახეთში 600—800 მან.

იძულებით დახსნის კანონი, აქ, ტფილისში, შემუშავებული, ხელმწიფის მოადგილემ ქართველ თავად-აზნაურობას გადასცა განსახილველად და თვისის აზრის გამოსათქმელად. ამ ორის წლის წინად ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ განიხილა ეს კანონი და ასეთი აზრი წარუდგინა ხელმწიფის მოადგილეს. ქართველ გლეხკაცს უსასყიდლოდ უნდა გარდაეცეს ის ნადელი, რომელიც მას მიუზომეს 1864 წელს, ესე იგი სასახლე ადგილი, ვენახი და მინდვრის მიწები. ქართველმა გლეხკაცობამ ფასდაუდებელი აშაგი დასდო რუსეთის სახელმწიფოს, ოდეს იგი მკვიდრდებოდა საქართველოში და ამიერ-კავკასიაში. იმოდენა მსხვერპლი უძღვნა რუსის მთავრობას გლეხ-კაცობამ, რომ ამოდენა ჯაფა და შრომა თავის მკვიდრ მთავრობისთვის არას დროს არ შეუწირავსო. „შარტო ბატარა საქართველოს, ამბობს გენერალ-ლეიტენანტი ივანენკო, მშვიდობიან დროს წელიწადში 112.000 ბეგრის ურემი გამოჭვავდა და 100.000 ბარგის ტვინიო“. ქართლ-კახელი გლეხი სამხედრო ტვირთსა და სურათს ეზიდებოდა გენჯა-ერევანს, ყარსისაკენ, ფოთისაკენ და იქ, სადაც კი რუსის მხედრობა საჭიროდ იყო გასული. მომეტებული ნაწილი მეურმეებისა შინ ცოცხალი ვერარ ბრუნდებოდა, ხარ-კამბეჩი ხომ თითქმის სავსებით უწყდებოდა. მოელი ორმოცდა ათი წელიწადი ასეთს ჯაბანს ეწოდა და ასეთს მოამაგეს რომ უსასყიდლოდ მიეცეს „ნადელი“, სწორედ რომ სამაგიეროს გადახდა იქნებაო. მთავრობა უმამულო გლეხკაცობას ციმბირში ასახლებს, უსასყიდლოდ აძლევს მამულს, უკეთებს გზებს, უშენებს სკოლებს, აბანოებს, ეკლესიებს, ურიგებს საშენ ხის მასალას და სხვა; ეხმარება ფულით და ითასგვარ სხვა დახმარებას უჩენს. გადასახლებულთა კეთილად მოსაწყობად მთავრობა ფულს არა ზოგავს და წელიწადში თითქმის 30 000,000 მანათს ხარჯავს ამ საქმეზე. ამას გარდა რუსის გლეხკაცობას 3 დვინობისთვის 1905 წლის მანიფესტით ერთ მილიარდ მანეთზე მეტი უფეშქაშა და ნუ თუ იგივე სახელმწიფო ვალდებული არ არის გამოიჩინოს მზრუნველობა და სახელმწიფოს ხარჯით მამული მისცეს ქართველ მოამაგე გლეხს, რომელსაც ასე დიდი დვაწლი მიუძღვის ქვეყნის წინაშე და რომელსაც დღეს ნივთიერი ძალა ადარა აქვს ფასით შეიძინოს ნადელად მიცემული მამული.

უველას მოეხსენებაო, ამბობს იგივე თავად-აზნაურობა, რომ ქართველი თავად-აზნაურობა ნივთიერად დაძაბუნდა, გაღარიბდა და გაღატაკდა. თითქმის სამოცი ბროცენტი თავად-აზნაურობისა მოკლებულია მამულს, 4—6 დღიური შერჩენილის მამულისა მამულად ადარ ჩაითვლება და დღეს თუ ხვალ ეგეც ხელიდან გამოეცლება. ან რა მამულია 4—6 დღიური, რა მეურნეობა შეიძლება ამ ერთ ბოხჩა მამულზეო? რადგან ასე დაქვეითდა ქართველი თავად-აზნაურობა და თვითონ საჭიროებას შეველა-დახმარებას, ამის გამო თავად-აზნაურობა სამართლიანად სთვლის, რომ სახელმწიფომ იკისროს და თვისის ხარჯით გამოისყიდოს სანადელო მამული და შემდეგ უსასყიდლოდ გადასცეს დახსნილი მამული ქართველ გლეხ-კაცობასაო.

მეორე ფრიად საყურადღებო აზრი თავად-აზნაურობისა ისაა, რომ იძულებითი დახსნა სანადელო მამულისა უნდა მოხდეს დღევანდელ ფასების მიხედვით და არა იმ ფასებისა, რომელიც არსებობდა 1864 წ. წინაადმდეგ შეშოხვევაში, იძულებითი შესყიდვა სანადელო მამულისა ექსპროპრიაციას უფრო ეგვანება, ვიდრე შესყიდვას. მთავრობამ არ შეიწუნარა საკონსტიტუციო დემოკრატების აზრი, რომ მამული უნდა მიეცეს გლეხკაცობას სამართლიან ფასებშიო და აბა სადური სამართალია, რომ დღევანდელ ფასის მაგიერ მთავრობა ადებს გამოასასყიდ მამულს 1864 წლის ფასებსაო.

ხელმწიფის მოადგილემ და მისმა საბჭომ არ შეიწყნარა თავად-აზნაურობის აზრი და დაადგინა: იძულებით ნადელების დახსნა მოხდეს იმ ფასების მიხედვით, რა ფასებიც არსებობდა 1864 წ., ხოლო ღირებულობა მამულისა გლეხკაცობამ გაიდოს ნაწილ-ნაწილადო.

ამ წლის მაისში ეს კანონი მოიწონა სახელმწიფო სათათბირომ და გადასცა სახელმწიმფო საბჭოს. საუკეთესოდ ეტყობა, რომ სათათბიროს რადაცა ნახევარ საათი მოანდომა ამ კანონის განხილვას და უცვლელად მიიღო. 19 დეკემბერს ეს კანონი მოიწონა სახელმწიფო საბჭომ და 21 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცდა.

სახელმწიფო საბჭოში კანონის წინააღმდეგ გაიღაშქრა თ. ანდრია ერისთავმა. კანონს ბევრი ფორმალური ნაკლულევანება აქვსო, უთქვამს საბჭოში თ. ერისთავს: კანონი უეურადღებოდ სტოვებს და არ სწუვეტავს ხიზნების საქმესა და საძოვრებსაო და ვიდრე ამ საგნებსაც არ გაარკვევენ, ეს კანონი დირსი არ არის დამტკიცებისაო და უნდა უკუ ვაგდოთო. რა აზრით იყო ყველა ეს ნათქვამი, ვერ მივხვდით. იძულებით შესყიდვის ნადელისას დიდი კავშირი აქვს იმასთან, თუ როგორ მოეწყობა საძოვრებით ხმარების უფლება, მაგრამ ხიზნების საქმეს რა კავშირი აქვს დროებით-ვალდებულ ურთიერთობის მოსპობასთან, ვერ გაიგების ადამიანი. ახალი ფორმის ხიზანი გაჩნდა ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, როდესაც კავკასიონის ქედის ხეობებში შემწყვდეულმა მთიულმა. იხეტიალა და ძირს, ბარში ჩამოვიდა. გამწვავებით კი საქმე გამწვავდა მაშინ, როდესაც სენატორმა კლუშინმა 1876 წ. გამოაქვეყნა შესანიშნავი ცირკულიარი ხიზნების შესახებ. ეს ცირკულიარი ხიზნებმა ისე გაიგეს, რომ დღეიდან ჩვენ მამულის პატრონი ხელს ვეღარ გვახლებს და სახიზნო მამულს ისე უცქერდნენ, როგორც საკუთრებას. იმის მაგიერ, რომ თ. ერისთავს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეტარებინა უმიავრესი საფუძველნი დროებით-ვალდებულ ურთიერთობის მოსპობისა და დაეცვა ან მიწად მფლობელის, ან მიწის მშრომელის ინტერესი, ხიზნების საქმეს წაეტანა ტეუიდ-უბრალოდ. დიახ, ხიზნების საქმეც გადასაწყვეტია, მაგრამ სრულიად დამოუკიდებლად. ხიზანსა და ნაუშეკის შორის დიდი ზღვარი სძევს და მათი ერთმანეთში არევა ეოვლად შეუძლებელი და შეუწყნარებელი ცდაა.

19 დეკემბერს განხილული სახელმწიფო საბჭოში და 21 დეკემბერს დამტკიცებული ხელმწიფის მიერ ახალი კანონი ნადელების იძულებით დახსნისა შევა ძალაში პირველ ივნვრიდან 1913 წ. ამ დღიდან სამუდამოდ მოისპობა დალა-კულუხის ძველა და მის მაგიერობას გასწევს ფულის ზიდვა ხაზინაში. არსებითად ახალი კანონი ვერაფერს ცვლილებას ვერ შეიტანს ჩვენს ცხოვრებაში. იცვლება მხოლოდ ფორმა გადასახადისა. წინად თუ დალა-კულუხი მეფობდა, დღეიდან დაკანონდება ფულის ძღვევა მთელი ნახევარ საუკუნე, ვიდრე თავნი ვალი გადასწყდება.

ვალის მოსაწყვეტად დანიშნულია სამი ვადა (19 მუხლი ახალის კანონისა): 56 წელიწადი, 41 და 28 წ. სოფლის სურვილზეა დამოკიდებული ვადის არჩევა. რომელს ვადასაც მოისურვებს, იმას აირჩევს. ვინც 56 წ. აირჩევს, იმან უნდა იხადოს ათ თუმან ვალზე ოთხი მანთი და ათი შაური ($4^1/_2\%$); ვინც 41 წლით ივალებს ფულს, ის იხდის ათ თუმანზე ხუთს მანათს (5%) და ვინც ისესხებს 28 წლით, ის იხდის ათ თუმანზე ექვს მანათს წელიწადში (6%)—იხ. 22 მუხლი ახალის კანონისა.

ვიდრე მამულის პატრონი მიიღებს ხვედრს ფულს ნადელისას, მთავრობა მისცემს სარგებელს ოთხნახევარ პროცენტის კვალობაზე. თანხას გამოიანგარიშებს მომრიგებელი შუა კაცი და გაუგზავნის შესამოწმებლად ხარჯის ამკრეფ ინსპექტორს. როცა ამ შომრიგებელ შუაკაცისაგან და ხარჯის ამკრეფ ინსპექტორისაგან შედგენილს ანგარიშს დამტკიცებს საგლეხო საგუბერნიო საკრებულო, მაშინ ანგარიშს გადასცემენ სახაზინო პალატას, ხოლო უკანასკნელი ბრძანებას მისცემს შესაფერ ადგილობრივ ხაზინას, რომ მამულის პატრონებს ჩაბარონ სარგებელი. საბოლოო ანგარიში ჩაჭბარდება მემამულეს მაშინ, როდესაც შესდგება და დამტკიცდება ნასყიდობის ოქმები.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სულ მიიღებს სანადელო ფულს ოთხ მილიონს ცხრასს ჩვიდმეტს ათასს რვასს სამოცდა ოთხს მანათს (4.917.864), ხოლო ქუთაისისა—2.444.146 მანათს, სულ კი ორთავ გუბერნიის თავად-აზნაურობა და მათ შორის მესხეთის, ჯავახეთის და ბორჩალოს ბეგობა და ალაზრობა 7.362.010 მანათს.

კერძოდ ტფილისის გუბერნიაში ამ ნაირად განაწილდება სანადელო ფული: 1) ახალქალაქის მაზრა ის გლეხკაცობა შეიძენს საკუთრებად 23.689 დესეტინას; მემამულენი: ქართველი აზნაურნი—მუსხელაანი, ქანანოვები, ორბელიანი, ტომაშევიჩი და ბეგები: თავდავანდიშვილები, ათაბეგნი, ერისთვიანი, ხიდირბეგიანნი, მაჩაბლიანნი, თულაშვილნი, წერეთლები, მუხრანიანი, ავალიშვილები და სხვანი და მოქალაქენი: მეფისაანი, ფირალიშვილები, კაჩხუაშვილები, ბეზირგნიანი, ალელიშვილნი, ბაიბურთელნი, ყირხქესალი, ბეთანიშვილნი, ხოჯევანიშვილები და სხვანი *) მიიღებენ 1.119.559 მან. 2) ახალციხის მაზრის

*) აქ ჩამოთვლილ მემამულეთ აქვთ მამული მესხეთსა და ჯავახეთში.

გლეხობა შეიძენს 18.035 დესეტინას 1.085.252 მანათად; 3) ტფილისის მაზრის გლეხობა—10.296 დესეტინას 572.259 მან. 4) ბორჩალოს მაზრისა—6.677 დესეტინას 353.868 მანათად; 5) გორის მაზრისა—20.866 დეს. 1.026.275 მანათად; 6) დუშეთისა—9.541 დესეტ. 346.717 მანათად; 7) სიღნაღისა—4.975 დესეტინას 281.566 მან.; 8 თელავისა—3.266 დეს. 169.700 მან. და 9) თიანეთისა—1.155 დეს. 54.698 მანათად. სულ ტფილისის გუბერნიაში 98.500 დესეტინაა გამოსასყიდი, რომლის ფასი დაიჯრეს 4.917, 864 მან.

ქუთაისის გუბერნიაში: 1) ქუთაისის მაზრა—4.674 დეს. 312.285 მანათად; 2) შორაპნის მაზრა—7.870 დეს. 337.785 მან.; 3) ლეჩხუმის მაზრა—6.550 დეს. 321.770 მან., 4) სენაკისა—8.908 დეს. 319.641 მ., 5) ოზურგეთისა—821 დეს 46.921 მან.; 6) ზუგდიდისა—26.446 დეს. 993.901 მან. და 7) რაჭისა—1.975 დეს. 111.841 მან. სულ ქუთაისის გუბერნიაში გლეხ-კაცობა შეიძენს საკუთრებად 57.244 დეს. 2.444,146 მანათად.

ზოგს მაზრაში, მაგ., ბორჩალოში შესასყიდ მამულის რაოდენობა მცირეა. ეს იმითი აიხსნება, რომ როგორც აქ, აგრედვე სხვაგან, უფრო კი იმერეთში, დროებით-ვალდებულმა გლეხობამ ადრეგე დაიხსნა ნაგელი და მესაკუთრე შეიქნა.

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ საქართველოს გლეხ-კაცობას ვალად დაწვება 7.362.010 მან. წელიწადში თავნში და სარგებელში გლეხობამ უნდა იხადოს ხუთის პროცენტის კვალობაზე 368.100 მან. ესაა ღალა-კულულის მაგიერი ფასი.

გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს ტვირთი ერთი ორად და იქნება სამადაც გადაჭარბებს ღალა-კულულის სიმძიმეს. სიბუთი ასეთის მტკიცებისა ისაა, რომ მოუსავლობის დროს დროებით-ვალდებული არას იხდიდა და თუ ვინმე ზარალობდა ასეთს წელს, ისევ მემამულე. ხაზინამ და სახაზინო პალატამ მდარე მოსავლიანობა და მოუსავლობა არ იცის. არის მოსავალი თუ არა, სულ ერთია, სარგებელი უნდა წარადგინო ხაზინაში. არ შეიტან და „ნელოიმეა“, ჯარიმა და ბოლოს სარჯთა აგრეფაში გაწფეული დარაჯი. მეურნეობა საქართველოში ისევე უხეირო და პირვანდელია, როგორც რუსეთში. თუ რუსეთში, სადაც დროებით-ვალდებულმა ხუთჯერ მეტი მამული მიიღო და ვერ გაუძღო ტვირთს და წელში გატეხა, ჩვენსა რაღა ხეირი დაეურება? უეჭველია, რომ ქართველ გლეხ-კაცსაც სამანიფესტოდ გუნდება საქმე...

ამნაირად ეკონომიური მხარე ახალის რეფორმისა აგრე რიგად სახარბიელო არ არის და საგონებელში გვაგდებს. ხოლო პოლიტიკური მხარე რეფორმისა დიდია და თვალსაჩინო. დასრულდა მონობა, საბოლოოდ განთავისუფლდა პიროვნება კაცისა. ღალა-კულულის ძალვა ამცირებდა მუშაკს, ცულს გუნებაზე აყენებდა მებატონესაც. ურთი-ერთობა ორის წოდებისა გაფუჭებული იყო და საერთო შრომისათვის ნიადაგს ვერ ამზადებდა. მხაგერელი და დაჩაგრული, ანა აქ რა კეთილი განწყობილება შეიძლებოდა! რაკი გლეხი მესაკუთრე გახდა და სხვისა თავლსა და წარბში ეურება ადარ დასჭირდება, გათამამდება და უფრო მხნედ და გულიანად წაიყვანს თავის საქმეს. ერობის შემოდებასაც „ნადელის“ დახსნა ხელს შეუწყობს.

დასასრულ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გათავებულად ვერც 21 დეკემბრის 1912 წლის რეფორმა ჩაითვლება, რადგან კიდევ დარჩა გადუწყვეტელი ისეთი მწვავე საქმე, როგორიცაა საძოვრით სარგებლობა და ტეთი ხმარება მესხეთში. ხელმწიფის მოადგილის კანცელარია ამ ყამად მასალას აგროვებს და იმედია, რომ ავად თუ კარგად ამ საქმესაც მალე მოუღებენ ბოლოს. როდესაც ეს საქმეც გამოირკვევა და კანონი გადასწყვეტს, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ბატონ-ყმობა გადავარდა.

სულ ტოტა ოთხი-ხუთი წელიწადი მოუნდება ამ საქმესაც. მაშასადამე მთელი ნახევარ საუკუნე დასჭირდა ბატონ-ყმობის ნაშთების ძირიან-ფესვიანად ამოგდებას, მაგრამ ეს საქმე რომ დასრულდება, მაშინ თავს წამოჭეოფს უფრო დიდი და თავში სტემი საქმე—სოფლის მიწად-მფლობელობის მოწყობა და მოწესრიგება, ესე იგი არეულ და აღუფხულ წვრილ-წვრილ ნაგრების ერთს მხარეზე მიტან-მოტანა. უამისოდ სოფლის მეურნეობის პროგრესი და წინსვლა წარმოუდგენელია.

ალ. ყიფშიძე.

ახალგაზრდობას

სევდის სახე არ გვშორდება
ვით აჩრდილი მაბეზარი!
ირგვლივ ისმის სულ გოდება,
მოთქმა-გლოვის მწარე ზარი!..
ძვალთა მტვერში ფიქრი სჭანება,
გული ძლივს ჰფეთქს სისხლნაკლული,
საცოდავ ჩვრად იქცა ნება
გზა გადამცდარ-დაკარგული!..
ერთმანეთის მტრობა-შური
მწვავე ჯაჭვი არა სწყდება!

ვაგლახ ჩვენა, რომ წარსულის
გაკვეთილი გვავიწყდება!
დაანებეთ წუწუნს თავი:
ცრემლი—ლაჩართ ხვედრი არი!..
კარგად გესმით ხომ მტრის ავი
დამცინავი ხმა საზარი!..
რამდენიმე ათასის წლის
სისხლი გიჩქეფთ ამაყს მკერდში,
ყოვლი წვეთი ამა სისხლის
ნადუღია ბრძოლის ბრძმედში,
ოხვრა-კვნესა და ჩივილი
არ შეგშვენისთ თავმომწონეთ!..
გმირ არწივთა კვლავ ყივილი
გამაგონეთ, გამაგონეთ!
მეგობრებო, დროს ნუ ჰკარგავთ,
განიკურნეთ გულის წყლული,
ლამაზ სიტყვებს ნუღარ ჰუარგავთ
და ჩაუდგით საქმეს სული!
ერთობისა, შეთანხმების
დროშა წმინდა ზე ასწიეთ,
და შუქოსან მომავლისკენ
უშიშრად და მხნედ გასწიეთ!..
დაგვარწმუნეთ, რომ ვარსკვლავი
ჩვენი ბედის კიდევ ბრწყინავს,
რომ არ გვიდევს წინ საფლავი—
არც მომკვდარვართ... აღარც გვძინავს!..

კ. მაყაშვილი.

უკანასკნელი შუქი

კარგა ღამეა გასული. საშინელი ქარი ჰქრის, სულ ჰგლეჯავს არე-მარეს და გაყინულ დედამიწიდგან ოდნავ დადებულ თოვლის ფიფქს ანიავებს. სოფელი საბატონო მთლად დაფარულია ამ კორიანტელში. ცა და დედამიწა აღარ ირჩევა ერთმანეთში. მხოლოდ ბატონიანთ სასახლე, უშველებელი, რამდენიმე სართულიანი დიდი შენობა ვერც ამ კორიანტელს დაუფარავს და ის ამაყად მედიდურად მოსჩანს საერთო სიბნელეში.

მაგრამ კაცი რომ მიუახლოვდეს ამ უზარმაზარს, ბატონ-ყმობის დროის ნაშენს ვეშაპს, შენიშნავს რომ საამაყო აღარა აკრავს რა. სახურავი მოჰგლეჯია, ირგვლივ შემოკრული ბალკონების ნაგლეჯები აქა-იქ საცოდავად ღა ჰკიდია, კარის და ფანჯრის ნასახიც აღარა სჩანს და თვალებ დათხრილ კედლებ შუა ქრისტიშობის ქარი თავისუფლად დანავარდობს და მის აოხრებულ ოთახებში ათასი შესაზარის ხმით გაჰკივის, ბზუის, ხრიალებს, ანგრევს და ამტვრევს ყველაფერს, რაც კიდევ შერჩენია რამ ამ გავერანებულ ამაყ, თავადთა გმირაძეებთა სადგურს.

მარტო ერთ მხარეზედ, ერთ პატარა კუთხეზედ შერჩენილ ჭერ ქვეშიდგან გამასჭუის ოდნავი შუქი და მცირე ვარსკვლავივით ბჟუტავს გარშემო გამეფებულ წყვდიადში.

დიახ, ამ უზარმაზარ ჩანგრეულ, უპატრონო შენობაში, მხოლოდ ერთი მცირე ოთახი ღაა მთელი და იქ მბუჟტავ ცეცხლის გარშემო ამ სახლის პატრონთა შთამოების ორი უკანასკნელი ნაშთიღა ოხრავს და ებრძვის ცხოვრების ამაოებას...

დიდს, ნათალი ქვის მშვენიერი ჩუქურთმით შემკულ ბუხართან, პატარა ჟანგიანი „ჟესტის ფეჩი“ კუნტია და ფეჩის წინ პატარა ყუთზე ჩამომჯდარი პატარა, ოთხად მოკუნტული, შავებით მოსილი მოხუცი, კნეინა მართა გმირაძისა, წამდაუწუმ ფეჩის წინ დაგროვილ ძველ ნაფოტებს ფეჩში უკეთებს.

ნაფოტის აპრიალებაზედ ოთახი მთლად ნათდება და მკაფიოდ ანათებს იმის უკიდურეს სიცარიელეს და სილარიბესთან ერთად, იქ მყოფთ - ორს საშინელ დაავადებულ პირთა სურათებსაც.

— დედა, ნუ თუ შესაძლებელი არ იყო ორი კვერცხის შოვნა? ექიმმა აქ იმიტომ უფრო გამოამგზავნა, რომ რძეს და კვერცხს იაფად იშოვნიო, უკვერცხოთ და ურძეოთ შენი წამლობა ტყუილი იქნებაო; ოდნავის, გახრინწიანებულის ხმით წარმოსთქვა ცეცხლთან შორიახლოს მდგომ ტახტზედ წამოწოლილმა ავადმყოფმა და მუხლებზედ წამოხურული საბანი გულამდე აიწია, ჩაიტკეპნა გვერდებში და საშინლად მძიმედ დაახველა.

— მოგიკვდეს დედა, შვილო! თავში ხელის შემოკვრით მიუგო ფეჩთან მჯდომმა მოხუცმა დედამ ორმოცის-ორმოცდა ხუთის წლის, წვერ-ულვაშ გაბანჯგლულ და ყვითლად დასიებულ ხელ-პირიან ავადმყოფ თავის შვილ ზაქარიას და ფეჩს კიდევ ნაფოტები შეუმატა. — დედა მოგიკვდეს, შვილო, დედა! რად არის ცოცხალი დედა შენი მართა, რათა?! რაც ის დალოცვილი ღმერთი ბოლოს არ მოუღებს ჩემს დაუსრულებელ ტანჯვას! რაღად მაყურებინებს თქვენ ჭირს და ვარამს, ოჯახის დედამიწამდინ გასწორებას!

— კვერცხიო, რძეო! სად არის კვერცხი, სად არის რძე ამ გაძვალტყავებულ სოფელში! და რომ იყოს კიდეც, ვინ გამოგვიჩენს ჩვენა?სულ მისხი-მისხათ გააქრობენ, რაკი შეიტყობენ, რომ ჩვენ გვესაჭიროება.

— განა არ იციან რომ ავადა ვარ? არ იციან რომ, თუ არ რძე და კვერცხი, სხვას ვერაფერს შევ-ჭამ? რომ უიმისოთ შიმშილით საკვდილი მომელის....

— იციან, შვილო, იციან! ყველას შევჩივლე, ყველას შევტირე, მაგრამ სიბრალული სად არის.... ხომ იცი, მთელი სოფელი მტრულად გვიყურებს.... ან მოყვრულად როგორ უნდა გვიყურებდეს.... სამი თვით ჩაყენებულმა „ზეკუციამ“ სულ ტყავი გააძრო ყველას. ქათამი რა არის, ქათამიც კი არავის შეარ-ჩინეს გალექებულმა ყაზახებმა.... ხელზედ დასაყრე-ლა თივა აღარავის გააჩნია, სულ ყაზახთა ცხენებმა შთანთქეს; აბა ძროხები რიღათი გამოჰკვებონ... სუყველაფერი მიყიდ-მოყიდეს, ციკნის კიკინსაც ვე-ღარსად გაიგონებ... ვაჯ-კაცნი ქალაქებში გაიფანტ-ნენ სამუშაოდ და თითო მუჭა ფქვილს იქიდგან აწოდებენ ოჯახს...

— კარგი, კარგი! ნუ მამიყევი საყვედურებს. ომის დროს ბრძოლაა საჭირო, ომი გამოგვიცხადეს გლეხებმა და ჩვენც სამაგიერო მიუგეთ... გაანჩხლ-ებით უთხრა ზაქარიამ დედას.

— „შენც წახდი, მეც წამახდინეო“, ნათქვამია, შვილო, და აკი ჩვენც გავნადგურდით.... აკი ჩვენც დავკარგეთ ყოველი სანუგეშებელი, ცხოვრების გზა და კვალი, აკი თავზედ დაგვენგრა მამა-პაპათა ნა-შენნი პალატნი, მეფეთა და დიდებულთა ჩამომა-ვალთ, განცხრომაში და დიდებაში ცხოვრებას ჩვე-ულთ, აკი ლუკმა გვენატრება ...

— ოხ, დედა, დედა! გაჩუმდი, გაჩუმდი! ნუ მიწამლავ უკანასკნელ წამებს... რად წამოველ აქ, რად მოვატანე ჩემ ჩამქრალ კერას, ჩემი მშობლის უბე-კალთას!... რატო „ბალნიცაში“ არ გადავღრძვი და საერთო საფლავში არ დავიმარხე.... ჰხე, ჰხე, ჰხე! კვლავ დაახველა ღრმად, უხმო, საშინელის ხველე-ბით ზაქარიამ და კვლავ საბანის ამოკეცვა დაიწყო... მცივა... საშინლად მცივა... თითქო ხელფეხი მეყი-ნება... სხეული მიდუნდება... ხველების გაყუჩების შემდეგ ხვნეშით და ქაქანით წარმოსთქვა ზაქარიამ და მერე დალურჯებული ტუჩები მაგრად მოუჭი-რა, გაყუჩდა და კვლავ შავს ფიქრებს მისცა თავი.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო ფიჭვის ნა-ფოტებს გაჰქონდა ტაცა-ტაკუცი ჟესტის ფეჩში და გარედგან აფორიაქებული ქარის შუილი ისმოდა. დედაც და შვილიც მოგონებაში იყვნენ წასულნი და აწმყო, ეს საშინელი აწმყო, უნუგეშო და ბნე-ლი თითქო უკან იყო ჩამოყენებული.

დედაც და შვილიც წარსულის მოგონების ტკივილში, ყურს აღარ უგდებდნენ აწმყოს სულთა-მხუთავ გამძვინვარებას.

დედას დაავიწყდა, რომ შვილი, სიცივეში ნამ-გზავრი და ავადმყოფი, სიმშილით დასუსტებული და ღონე მიხდილი ძლივს სუნთქავდა და თვით ავადმყოფს ყელთან მობჯენილი მწირი სული...

მაგრამ ტკივილმა თვით ამოიღო ხმა და ამ ხანად ისეთის სისასტიკით, რომ მისი შეკავება და უკუ ქცევა შეუძლებელი ღა იყო და როცა ორთა-ვენი გონს მოვიდნენ, ავადმყოფობის კრიზისი უკვე დამთავრებული იყო.

ფეჩი გამქრალიყო, ოთახში სიბნელე და სი-ცივე იყო გამეფებული, ზაქარია სცდილობდა და-ხველებას, ხვნეშოდა. ხელებს აქეთ იქით აწყვეტდა...

მართამ საჩქაროდ აანთო ფეჩი, შანდალში ჩა-რჩენილ სანთლის ნამწვს მოუკიდა და აკანკალებულ აცახცახებული შვილს მიუახლოვდა. ის, ზეზე წამო-მჯდარი, ყელში თოკ-წაჭერილივით გალურჯებული, თვალებ დასიებული. სულს ძლივს იბრუნებდა, იხჩობოდა, უკანასკნელად იბრძოდა...

—შვილო! შვილო! ისეთის საშინელებით შეჰკივ-ლა მართამ, რომ მისმა ტკივილმა გადალახა სტიქი-ონის გააფრთებული ყმუილი და სოფლელთა მიყუ-ჩებულ ყურამდინ მიაღწია.

და ცოცხლებზედ განრისხებული სოფელი, სიკვდილის დროს შეურყევლად დაიძრა და გაჭირ-ვებულთ ნუგეში სცა და პატრონობა აღმოუჩინა.

ეკ. გაბაშვილისა.

ქრონიკა.

სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ა. მ. ერისთავი

დროებით ვალდებულ გლეხთა კანონ-პროექ-ტის განხილვის დროს სახელმწიფო საბჭოში სიტ-ყვა წარმოსთქვა თავად ა. მ. ერისთავმა. „Русское слово“-ს მოჰყავს რეზიუმე ამ სიტყვისა.

„კავკასიის (?) თავად-აზნაურობის წარმომა-დგენელი თავის განსაკუთრებულ მოსაზრებაში წინადადებას იძლევოდა უკუეგდოთ კანონ-

პროექტი. მისის სიტყვით სათათბიროს კანონ-პროექტი არ აკმაყოფილებს არც გლეხობის ინტერესს, არც თავად-აზნაურობისას და ამასთანავე სრულიად მხარს უხვევს ეგრედ-წოდებულ ხიზანთა მდგომარეობას. კავკასიის თავად აზნაურობა კანონ-პროექტს სთვლის ისეთ მოვლენად, რომელიც ძირს უთხრის არამცთუ გლეხთა მეურნეობას, არამედ მიწად-მფლობელობასაც. კანონ-პროექტით განზრახული სხემა გამოსყიდვის აქტებისა მრავალ საზოგადოებისათვის და სოფლებისათვის შეუფერებელია, ეწინააღმდეგებოდა ხასიათს კავკასიურ მიწად-მფლობელობას და ფაქტიურად განუხორციელებელია. კანონ-პროექტს აკლია აგრეთვე სისრულე, როცა ის მხარს უხვევს გლეხთა უმრავლესობასა, „ეგრედ წოდებულ ხიზნებს“.

თავად ა. მ. ერისთავს პასუხი გასცეს ნამესტნიკის წარმომადგენელმა ა. პ. ნიკოლსკიმ და თვით პრემიერ მინისტერმა კოკოვცევმა, რის შემდეგ კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა საბჭოსაგან.

—

ზ. დ. ქიტიაშვილი.

ქრისტიშობისთვის 22-ს გასულ წელს, ქ. გორში მამასახლისის არჩევა მოხდა. არჩეულ იქმნა ზ. დ. ქიტიაშვილი. გორის ახალი მამასახლისი ახალგაზდა კაცია. დაიბადა ქალაქ გორში, საშუალო განათება თბილისის მეორე გიმნაზიაში მიიღო და შემდეგ დიდხანს იცხოვრა ქ. ჟენევაში, სადაც დაამთავრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ქიმიის დოქტორის დიპლომით. უნივერსიტეტმა ქიმიის ასისტენტად დასტოვა, მაგრამ ზ. დ. დიდხანს არ იდგომილა უნივერსიტეტში და 1910 წ. სამშობლოში დაბრუნდა. ჟენევაში ყოფნის დროს სათავეში ედგა ქართულ სტუდენტობას და იყო გამგედ ზუბალალის მიერ დამაარსებელ ქართველ სამკითხველოსი. სამშობლოში დაბრუნებისას იგი დასახლდა გორში და ამ დღიდან დიდ მონაწილეობას იღებდა, როგორც ქალაქისა ისე სხვა საზოგადო საქმეებში. მამასახლისად არჩევამდის იგი იყო ქალაქის რწმუნებულად და ითვლებოდა დამფასებელ კომისიის თავმჯომარედ. იგია ერთი დამაარსებელთაგანი გორის საგამომცემლო საზოგადოებისა, იღებს მონაწილეობას წ. კ. ს. გორის განყოფილებაში, არის წევრი გორის საკრედიტო საზოგადოების საბჭოსი და სხ.

—

† ქრისტიშობისთვის შუა რიცხვებში გადაიცვალა კახეთში ცნობილი მოღვაწე იური ჭავჭავაძე, რომელიც დაუღალავად შველოდა ყველა კულტურულ საქმეს და თანაგრძნობით ეპყრობოდა ხალხის ჭირ-ვარამს. სკოლა და სამშობლო ენა, სასოფლო კრედიტი, საავადმყოფო და ფოსტა—ყველაფერი გულ-მხურვალე და მფარველს პოულობდა მის პატიოსან და კეთილ გულში. დაშორებული ქალაქს, ის ყოველთვის ხალხის შუა გულში ტრიალებდა და ძალის და გვარად შეჰქონდა განათლება და კულტურის სხივი ჩვენ დაბჩავებულ სოფელში. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი, როგორც მისაბაძ მაგალითისა ჩვენი ინტელიგენციისაგან.

—

მ. ხ. ბ. რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი ჟურნალის ქრონიკაში მოათავსოთ შემდეგი ცნობა: ბაქოში შედგა ქართველ ინტელიგენტთა პატარა წრე, რომელმაც განიზრახა სთარგმნოს ქართულიდან რუსულად ქართველ მწერალთა საუკეთესო თხუზულებანი, რომლის რედაქტორობა იკისრა ერთმა რუსეთის გამოჩენილმა (?) მწერალთაგანმა.

ეს ჯგუფი მიმართავს ყველას, ვისაც შეუძლია წარმოადგინოს თარგმანი. სასურველია ითარგმნოს მხატვრული ლიტერატურა და პოეზია. შრომის ფასი მიეცემა ყველას, შეძლების დაგვარად. ამ საქმის გამგის მისამართი: Баку Гоголевская ул. д. Мухтарова Н. В. Канделаки.

—

განათლების სტატისტიკა

ინგილისელმა მეცნიერმა ა. მაკდოლანდმა ამას წინად გამოაქვეყნა საინტერესო გამოკვლევა: თანამედროვე მდგომარეობა, ხალხის განათლებისა; სხვა და სხვა ქვეყნებში თურმე 10,000-ს ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზრდობაში წერა-კითხვა არა სცოდნიათ.

გერმანიაში . . .	4-ს
შვეიცარიაში . . .	9
დანიაში	20
ინგლისში . . .	100
ჰოლანდიაში . . .	210
საფრანგეთში . . .	346
ჩრ. ამერიკაში . . .	380
ბელგიაში . . .	833
იტალიაში . . .	3073
რუსეთში. . . .	6110

რუსეთი ამ მხრივ ყველაზედ ჩამორჩენილია.

ასევეა ბეჭდვით სიტყვის შესახებ. გაზეთების რაოდენობაში პირველი ადგილი უჭირავს შვეიცარიას.

ერთ მილიონ მცხოვრებლებზე მოდის:

შვეიცარიაში . . .	275
ჩრ. ამერიკაში . . .	260
საფრანგეთში . . .	251
ჰოლანდიაში . . .	132
გერმანიაში . . .	115
ინგლისში . . .	98
დანიაში	84
იტალიაში . . .	60
ბელგიაში . . .	27
რუსეთში	8

———

ამას შეიძლება დაემატოს, რომ საქართველოში მოდის ერთ მილიონზედ 9 გაზეთი

რედ.

———

გლეხ მერძეველთა ამხანაგობა „ლილო“

13 მაისს 1912 წელს თბილისში ჩამოვიდა პირველი ეტლი კოოპერატიული რძით გლეხთა ამხანაგობა „ლილო“-სი.

მას შემდეგ გაიარა 8 თვემ და, მგონი ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ თვალს გადავავლებთ ამხანაგობის მოქმედებას. ამ მოქმედებას ნათლად გვიხატავს თვით ამხანაგობის ანგარიშები.

| თ ვ ე ბ ი | რამდენი გაიყიდა რძე | | |

სცდილობს უფრო გამოაკეთოს და მკვიდრად მოაწყოს იგი. ეხლა, სხვათა შორის, ზრუნავენ ძროხების რაციონალურ კვების მოწყობაზედ. ამისათვის აპირობენ გაზაფხულიდამ იონჯის და ჭარხლის მოყვანას თავის მიწებზედ. თებერვლიდამ შეუდგებიან საკუთარ მერძეობის სადგურის აშენებას. მათ მოქმედებას მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და ხელმძღვანელობს კოოპერატიული სექცია ქ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

დ. ვ—ძე.

ქართველი ქალები მე-60-ე წლებში (ქართ. მუზეუმი)
მარცხნივ და შუაში—ელენე ჩოდაუაშვილისა და ბარბარე თუმანიშვილისა, ასულნი თ-დ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილისა და მარჯვნივ არჩილ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე—ბარბარე.

ქალთა საკითხი

ჩვენ, ქართველებმა, ორი მხრიდან უნდა შევხედოთ ქალთა საკითხს. ერთი არის მსოფლიო შეხედულება, ანუ პრინციპი და მეორე—შინ სახელმძღვანელო, ანუ ტაქტიური მოსაზრება. ორთავე საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდი დაფიქრება სჭირია, რომ აქაც ისეთივე ყალბ ნიადაგზედ არ შევსდგეთ, როგორც სხვა ბევრ საკითხში.

საუბედუროდ, ამ ორ შეხედულების გზა ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და იწვევს აუცილებელ კონფლიქტებს. აი ის მახლობელი ფარგლები, რომლითაც მინდა შემოვზღუდო დღევანდელი ჩემი წერილი, თორემ ქალთა საკითხი მეტად რთულია, რომ საჟურნალო წერილით შეიძლებოდეს მისი დაშრეტა.

როცა ქალთა თანასწორობაზედ ლაპარაკობენ, გამოდიან იმ ტრაფარეტულ აზრიდან, რომ ქალიც და კაციც **ადამიანია** და ერთნაირი უფლება და ერთნაირი თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. მგონი, აღარ არიან ისეთი საშუალო საუკუნის მდევარნი, რომელნიც ეხლაც უარჰყოფდნენ ქალის ადამიანურ ბუნებას და სულს. მაგრამ, როცა ბუნებაზედ და სულზედ ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ ის ბუნებრივი და სულიერი განსხვავებანიც, რომლებიც არსებობენ ქალსა და კაცს შორის. როცა ლაპარაკობენ თანასწორ-უფლებიანობაზედ, უნდა ითქვას სიტყვა თანასწორ-მოვალიანობაზედაც.

თუ საფუძვლად დავიდებთ იმ ნ ო რ მ ა ლ უ რ მდგომარეობას, რომ ქალი უნდა გათხოვდეს და ოჯახი შეჰქმნას, ე. ი. ადამიანის ტომი განაგრძოს და **უკვდავ ჰყოს**, და არა იმ ა რ ა ნ ო რ მ ა ლ უ რ მოვლენას, რომ ბევრი ქალი ვერა თხოვდება,—უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბუნებრივ-ნორმალური მდგომარეობა ჰქმნის უპირველეს განსხვავებას.

რაც უნდა სხვა და სხვა ფერის სახე მიიღოს ოჯახმა, იქნება იგი თავისუფალი კავშირი თავისუფალ პიროვნებათა, კანონიერი შეუღლება ეკლესიის ან სახელმწიფოს წესით, ხანგრძლივი თუ მოკლე-ვადიანი, მრავალცოლობა და მრავალქმრობა, ან ერთმეუღლეობა—ყველა შემთხვევაში, ქალის მდგომარეობა, უპირველესად ყოვლისა განიზომება და განისაზღვრება მისი ბუნებრივი ფუნქციით—ორსულობით და შემდეგ დედობით.

აქედან გამომდინარეობს ისტორიულად დედაკაცის სულიერი მოთხოვნილებაც, მისი უფლებაც და მოვალეობაც, რადგან არ შეიძლება დავემყაროთ იმ ანორმალურ და არასასურველ მდგომარეობას, რომ ბევრი ქალი იძულებულია გაუთხოვარი დარჩეს, ბევრს შვილები არ ეძლევა და სხ. ჩვენ მხედველობაში უნდა ვიყოლიოთ ნორმალური ადამიანი, ნორმალურის ფუნქციებით.

ამ შემთხვევაში კი, ქალი, როგორც ფიზიკური იარაღი მოდგმის გაგრძელებისა—სრულიად სხვა, კაცისაგან განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს. მართლაც, ამ ბუნებრივ დანიშნულების წყალობით, ქალს განსაკუთრებული მოვლენები, ცვლილებანი აქვს ორგანიზმში, რაც თითქმის აავადებს და ხელს უშლის იმისთანა საქმის გაკეთებას, რაც კაცისათვის და იმ ქალისათვისაც, რომელიც ჩვეულებრივ პირობებშია,—ადვილია. აქედან ის წარმოსდგება, რომ ქალს არ შეუძლიან და **ნებაც არა აქვს** ბევრს დარგში მუშაობა განუწყვეტლივ. ამას ზოგიერთი სახელმწიფონი კიდევაც აკანონებენ იურიდიულად (ინგლისი, ბელგია, გერმანია და სხ.).

ნორმალურ ქალის ცხოვრება დაყოფილია ისეთ პატარა და დიდ ხანებად (პერიოდებად), რომ განუწყვეტლობა მუშაობისა,—ზოგან კი ეს აუცილებელია—მისთვის ყოვლად შეუძლებელი ხდება. და რადგან ცხოვრების თითქმის ყოველი დარგი თხოულობს შეუწყვეტელ მოქმედებას, ქალის პერიოდული გადადგომა საქმიდან, თანამდებობიდან, თუ წარმოებიდან—არა სასურველ შეფერხებას შეიტანს.

პირველ ყოფილ საზოგადოებაშიაც კი ყველა ადამიანს თავისი მიჩნეული საქმე აქვს და ნალბანდი ხარაზობას არ ეწყობა, და როცა ცხოვრება რთულდება, სპეციალიზაცია რომელიმე დარგში აუცილებელი ხდება. მომავალში ეს თანდათან უაღრესდება და ქალსაც ძალაუნებურად, თვით ბუნებისაგან მიჩენილი სპეციალური ადგილი ექნება.

უსამართლობა ამაში კი არ არის, უსამართლობა იმაშია, რომ ამ დიდ და პატივსადებ სპეციალურ დანიშნულებას, სათანადო ანგარიშს არ უწევს კაცობრიობა და ამ დანიშნულებიდან გამომდინარე უფლებასაც არ ანიჭებენ დედაკაცსა.

ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი ჩვეულებანი და კანონები ზოგიერთი ხალხისა.

ინდოეთში უკანასკნელ დრომდე ქალს არავინ შეირთავდა ცოლად, თუ წინასწარ შვილი არ ეყოლებოდა, ე. ი. ფაქტიურად, ოჯახის უფლებასაც არ ანიჭებდნენ, თუ თავისი სპეციალური უნარი არ გამოიჩინა. ბელგიაში ეხლაც დაკანონებული აქვთ ერთი ჩვეულება, რომ ფეხმძიმე დედაკაცს შეუძლიან ყოველი სავაჭრო სახლიდან წაიღოს, უსასყიდლოთ, მოწონებული ნივთი და ეს—ევროპაში, საცა კერძო საკუთრების პრინციპი ღმერთადაა ქცეული. იტალიაში, ქუჩაზე, გზაზედ მომავალი ორსული ქალის წინაშე ყველა ზრდილობიანი ადამიანი მოვალეა თურმე განზე გადგეს და ქუდი მოიხადოს... და სხვა და სხ. ათასი ამისთანა მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის შესახებ, რომ ქალის სპეციალურ ბუნებისაგან შეიძლება სპეციალური უფლებანიც შეიქმნეს და ეს ასეც უნდა იყვეს: ყველა ადამიანი უნდა დაჯილდოვდეს იმდენად, რამდენადაც ღირსია.

ის მძიმე უღელი, რომელსაც ადგამს ქალს შვილოსნობა, ჯერ ორსულობაში, შემდეგ შვილის ვამოკვება-აღზრდაში, არა მარტო შეიქმს განსაკუთრებულ მდგომარეობას ქალისას და აქედგან გამომდინარე უფლებას, არამედ განსაკუთრებულ ქალის ფსიხოლოგიასაც.

ორსულობის დროს, ქალს არ შეუძლიან რაიმე მძიმე საქმის გაკეთება და არც ვარგა, რადგან ზიანი მოაქვს როგორც მის პიროვნებისათვის, ისე მომავალ შვილისათვისაც, ამიტომ კაცთაგან არა მარტო პატივცემა და სათუთი მოპყრობაა მათთვის საჭირო, არამედ აქედგან გამომდინარე უფლებაც, რომ ქალი ამ დროს სრულიად განთავისუფლებული იყოს საქმისაგან. ეს უფლება მარტო ქალს შეუძლიან მოიპოვოს. მეორე მხრით, ესეთი მდგომარეობა, როცა ქალის მთელი შინაგანი ენერგია, ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი მიმართულია ნაყოფის მომწიფებაზედ, ანუ როცა, როგორ ჰენიოსი ჰაინე ამბობს: ქალი მთლად თავის ჭიპში გადადისო, როცა მისი სხვა ფსიხოლოგიური მხარეები მისუსტებულია, მას სრული უფლება უნდა ჰქონდეს, ამა თუ იმ სახით, საზოგადოებრივ დახმარებაზედ. დააქვე უნდა დაუმატოთ, რომ ნებაც არა აქვს მაშინქალს ისეთ პირობებში ყოფნისა,

რომელნიც ხელს არ უწყობენ ნაყოფის შევსებას და ნორმალურ ზრდასა.

ამის შემდეგ, მშობიარება ღალავს ქალის ორგანიზმს და მომხდარი რევოლუცია თხოულობს უკანასკნელ ერთ თვეს მაინც, ვიდრე ყველაფერი ნორმალურ სახეს მიიღებდეს. ჩვენში, მელოგინეს ერთ თვეს მაინც არ აყენებენ ზეზედ და მეცნიერება ამტკიცებს, რომ 9 დღეზედ წამოხტომა—სახიფათოა. შემდეგ, ცხრა თვეს უნდა ძუძუ აწოვოს დედამ შვილსა და მაშასადამე მაშინაც მოწყვეტილი იყოს ყველა საქმეს. იგივე მეცნიერება ამტკიცებს, რომ ქალის და საზოგადოთ ადამიანის ბუნება თხოულობს და ორგანიზმს ნორმალურად შეუძლიან ორ წელიწადში ერთი შვილის შობა-გამოკვება. მაშასადამე 24 თვეში სულ ცოტა, 15 თვე მაინც, ქალი განთავისუფლებული უნდა იყვეს სხვა შრომისაგან. და დარჩენილ 9 თვეს რაღა უნდა გააკეთოს? რის გაკეთება უნდა მოასწროს?

აი ასეთი, ბუნებრივად ხანგრძლივი ფუნქცია არის მიზეზი, რომ ქალი განვითარებითაც, შრომის უნარითაც გაცილებით უკანა სდგას კაცზედ და არა ის, რომ ქალი მუდამ დაჩაგრული იყვეს მასზედ ღონიერი კაცისაგან და დამონებული. თორემ განა ცოტა იყო ისტორიაში იმისთანა ხანა, როდესაც ქალს ნაკლები ოავისუფლება არა ჰქონდა კაცზედ, მაგრამ „მონობას“ მაინც თავი ვერ დაღწია. ბევრნი ურევენ ეთმანეთში მიზეზს და შედეგებს: ქალი მუდამ დამონებული იყო და ამიტომ არ განვითარდაო. პირიქით, ისტორიამ აუარებელი მაგალითი იცის, როცა განუვითარებლობა რომელიმე ერისა, ადამიანისა, ჯგუფისა, მისს დამონების და გათახსირების მიზეზადა ქცეულა.

ბევრი მაგალითი იცის იმისთანაც, როცა, დამონებული თუ დამმონებელზედ განვითარებული გამომდგარა, თავისი ბატონი გაუთქვეფია და თავისი კულტურით გარდაუქმნია (მაგ. ბიზანტია და რომი, დამონებული ბარბაროსთაგან) ასიმილიაცია მოუხდენია.

ქალი კი ყველგან და ყოველთვის დამორჩილებულის როლსა თამაშობს. რა არის მიზეზი ამისი? ისა, რომ უფრო ღონიერ მამაკაცს ეშინია ქალის კონკურენციისა, თუ, როგორც ზოგიერთი გაბედულნი ამბობენ: ქალი უფრო მაღლა სდგას და უფრო შორს შეუძლიან წასვლაო და კაცს ამისი ეშინიანო. ეს ზღაპრები, რასაკვირველია, საფუძველს მოკლებულნი არიან, რადგან კონკურენცია იმის კონკურენცია არის, რომ უკეთესმა უნდა გაიმარჯვოს და რაც შეეხება მეორეს—ქალის მაღლა დგომას და შორს წასვლას—ისტორია თვალწინ გვიშლის მათი მაღლა დგომის მაგალითებს.

განა არ იყო დრო მატრიარხატისა, ამაზონებისა, როცა ქალები ბატონობდნენ, რატომ ვერ შეინარჩუნეს? ვერსად ეს ბატონობა, რატომ ვერ შეჰქმნეს ისეთი პირობები, რომ განვითარება მათ ხელში ყოფილიჰყვეს? განა ისტორიამ ცოტაჯერ არგუნა შემთხვევა ქალებს—გამოსულიყვნენ მონობიდგან და აღემართათ დროშა თავისუფლებისა და შემოქმედებისა? როცა საბერძნეთმა კულტურულ სიმწიფეს მიაღწია, როცა მისმა ფილოსოფიამ, ხელოვნებამ კაცობრიობა ზე-აღიტაცა და ზოგიერთ მათ შექმნილ დარგს მეცნიერებისას და ხელოვნებისას დღესაც არა ჰყავს მეტოქე მსოფლიოში—მაშინ, ჰეტერა—სიმბოლო იყო თავისუფალი ქალისა, რომელსაც ყველგან შეეძლო ყოფნა, ყველაფრისთვის ხელის მოკიდება, მაგრამ ისტორიამ არ შეგვინახა არც ერთი სახელი ქალისა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა კაცობრიობის პროგრესის კიბეზედ. ერთად-ერთმა საფომ მოიხვეჭა სახელი პოეტისა და უფრო კი... ლესბიელ სიყვარულის ავტორისა. მართალია, ბერძნის ცოლები იმავე დროს სახლში ისხდნენ და „მატყლს ართავდნენ“, მაგრამ განა ჰეტერა-ქალი, თუ კი მასში სულიერი ძალა მოიძებნებოდა, ვერ შესძლებდა თანამშრომელის და მუზის როლი, შემოქმედ როლად ექცია?

საშუალო საუკუნეებშიაც ერგო წილად ქალს პატივისცემა და ნების ყოფა: მის სიტყვას რაინდობისათვის კანონის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ დროსაც ვერ ვხედავთ ჩვენ ვერც ერთ თვალ-საჩინო გამომსახველს ქალის ჰენიისას. გერმანიაში, ძველად, ქალი არამთუ გათანასწორებული იყო კაცთან, ომშიაც კი მასთან ერთად, მხარი-მხართან გადიოდა და ამ ხანიდანაც არც ერთმა „ქალის ისტორიამ“ არ მოაღწია ჩვენამდის.

აღარ შევაწუხებ მკითხველს ამისთანავე უთვალავ მაგალითებით,—მხოლოდ შევეხები იმ საკითხს, რომელზედაც უმეტესად ამყარებენ თავის საბუთებს ის მწერლები, რომელნიც ქალთა საკითხს შეხებიან (ბებელი, ლილი ბრაუნ, ალექსანდრა მირიალ და სხვანი) მაგრამ ამაზედ შემდეგ.

რ. ბ.

ჩვენ „საზოგადოებათა“ მიმოხილვა

ნათქვამია, აწმყო მშობელია მომავლისაო; ამიტომ ვიდრე ჩვენს სურვილებს გამოვთქვამდეთ ქართულ კულტურულ საქმიანობის წინმსვლელობის შესახებ მომავალ 1913 წლისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ ჩვენს ცენტრალურ თბილისის კულტურულ დაწესებულებათ, რათა ცოტათიცაა გავითვალისწინოთ მათი დღევანდელი ვითარება, რომ ამით ჩვენი სურვილებიც მომავალი წლისათვის მათ შესახებ უფრო სრული და საფუძვლიანი იყვეს.

ქართულ კულტურულ დაწესებულებათა შორის ერთი უპირველესი ალაგთაგანი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნის, როგორც თვისი ხანგრძლივობით ისე დანიშნულებით, რომელსაც ეს საზოგადოება ემსახურება. უკვე 30 წელზედ მეტია, რაც ხსენებული საზოგადოება არსებობს და ამ ხნის განმავლობაში დარაჯად უდგა ჩვენს ქართულ სწავლა-აღზრდის საქმეს. თუმცა მისი დანიშნულება უმთავრესად ხალხში პირველდაწყებითი სწავლის გავრცელებაა, მაგრამ საზოგადოებას თავის ხანგრძლივი არსებობის დროს უხდებოდა ძალა უნებურად ეკისრა ბევრი ისეთი ქართული კულტურული საქმე, რაც მის პირდაპირ მიზანს არ შეადგენს, რადგანაც უკანასკნელ ხანებამდის არ მოგვეპოვებოდა ჩვენ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სხვა შესაფერი ორგანიზაციები; მისმა მრავალმხრივმა კულტურულმა საქმიანობამ სამართლიანად დაიმსახურა ყურადღება და ნდობა ჩვენის შეგნებულ საზოგადოების ნაწილისა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველგვარი შეწირულება ამ საზოგადოებაში იყრის თავს; მაგრამ ამავე გარემოებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეც; სახელდობრ, დატვირთული ბევრგვარი საქმეებით, პირდაპირი მისი მიზანი—ხალხში პირველ დაწყებითი სწავლა-განათლების შეტანა, ჯეროვან ყურადღებას ვერ ღირსებია დღევანდღამდის და მოიკოჭლებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებამ დღეს მრავალი განყოფილება გახსნა (1912 წლამდის იყო 14, მიემატა ამ წლის განმავლობაში კიდევ ოთხი: გუდაუთისა, ლიხაურისა, ოჩემჩირისა და სიღნაღისა) მაინც პირველ დაწყებითი საქმე შესაფერ ნიადაგზედ ვერ არის დაყენებული, სხვა რომ არა ვსთქვათ რა, დღეს მთელი სამი სკოლა უმასწავლებლოდ არის და მიუხედავად იმისა რომ საზოგადოების მასწავლებელნი ჯამაგირის მხრივ უზრუნველნი არიან, მაინც არავინ კისრულობს საზოგადოების მასწავლებლობას; ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენში ნამდვილი ქართული იდეური მასწავლებელი იშვიათია და საერთოდ პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელნი მეტად დაბალი ღირსებისანი არიან, ამას მოწმობს სხვათა შორის დასავლეთ საქართველოდან მოსული ამბები, ამ ბოლო დროს, საიდანაც სჩანს, რომ ჩვენი, ტომით ქართველი მასწავლებელნი თვით უწყობენ ხელს რუსიფიკაციის პოლიტიკას. მასწავლებლების ასეთი დაქვეითება მეტად დიდ ყურადღების ღირსად მიგვაჩნია, რადგანაც, თუ ხეირიანი სოფლის მასწავლებელნი არ გვეყოლებიან, საკუთარ სკოლების გახსნა შეიძლება ისე საჭირო არც კი იყვეს. კარგ მასწავლებელს დღევანდელ პირობებში. სამინისტრო სასწავლებლებშიც კი შეუძლიან სასარგებლო საქმის გაკეთება არამთუ ქართულ სკოლაში. ამიტომ, ჩვენის აზრით, წ. კ. ს. უპირველესად ყოვლისა უნდა ამ გარემოებას აქცევდეს ყურადღებას და სცდილობდეს ისეთ მასწავლებლების მომზადებას, როგორსაც მოითხოვს ჩვენი ცხოვრება, იქნება ეს საოსტატო სემინარიის გახსნის სახით თუ სხვა რამენაირად. ეს მით უმეტეს რომ, როგორც ზევითაც დავინახეთ, გახსნილი სკოლები საზოგადოებას უმასწავლებლოდ რჩება. თუ დღევანდლამდის საზოგადოებას რთული, არა პირდაპირი საქმეების გამო, ეპატიებოდა ასეთი უყურადღებობა სოფლის მასწავლებლების მომზადებისადმი, დღეს ეს აღარ ეპატიება, რადგანაც გაიხსნა ბევრი ისეთი საზოგადოება, რომელთაც შეუძლიანთ მოაშორონ მეტი შრომა, თუ კი საზოგადოება ამას მოისურვებს. მახლობელმა კრებებმა ყველას ცხადათ აჩვენეს, რომ მუზეუმი უნდა გადაეცეს მაგალითად უკვე არსებულ საისტორიო საზოგადოებას და სხ. საერთოდ კი წ. კ. ს. უნდა შემოფარგლოს თავისი მოქმედების პროგრამა და უმთავრესად გამოხატოს ხალხში პირველ დაწყებითი სწავლა განათლების გავრცელებაში: სოფლის მასწავლებლების მომზადებით, სამა-

გალითო სკოლების დაარსებით და კითხვა—ბაასების გამართვით.

ამ შემთხვევაში, დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი მოქმედება ერთი ათად უფრო ნაყოფიერი იქნება.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგენი მეტად არიან დატვირთულნი საზოგადოების გარეშე მყოფი საქმითაც და ეს მეტად საზიანოა და შემაფერხებელი.

ამავე სწავლა-განათლების მიზანს ემსახურება მეორე ჩვენი ქართული საზოგადოებაც: თბილისის გუბერნიის თავ.-აზ. საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება. ამ საზოგადოებას უკვე 25 წელზედ მეტია რაც თავისი საკუთარი ქართული გიმნაზია აქვს; ამ სასწავლებელმა ჩვენის აზრით, დიდი სარგებლობა მოიტანა და ბევრი მოღვაწეც აღუზარდა ჩვენს ხალხს; ამ სასწავლებლის სარგებლობას შემდეგისათვისაც არა ვყოფთ უარს, მაგრამ დღეს ისეთ მნიშვნელობას ველარ მივაწერთ, როგორც თავის დაარსების დროს ეძლეოდა, როცა საერო ხასიათის განათლებას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, დღეს პირობანი შეიცვალნენ, ცხოვრება გართულდა და სულ სხვა ხასიათის სწავლის მოთხოვნილებანი წამოაყენა, და ჩვენც მოვალენი ვართ ანგარიში გაუწიოთ ამ გარემოებას, თუ გვინდა ერთ წერტილზედ არ გავიყინოთ და ცხოვრებას არ ჩამოვრჩეთ. დღე, ქართულმა გიმნაზიამ განაგრძოს თავისი არსებობა, იგი საჭიროა დღევანდელ პირობებში; მიუხედავად იმისა, რომ ქართველებში ბლომად მოიპოვებიან საერთო ხასიათის სწავლა-განათლების მქონენი, მაინც ამ სასწავლებელს დღესაც კიდევ მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლიან შესაფერი მიმართულება მისცეს შემდეგშიაც საერთო განათლების მსურველთ; მაგრამ ამასთანავე დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ ამ მიზნისთვის მთელი ჩვენი ქონება ერთ საშუალო სკოლას დავახარჯოთ და პროფესიანალურ და სპეციალურ ხასიათის სკოლები სრულად უყურაღღებოთ დავტოვოთ, რომელთა საჭიროებაც დღევანდელმა ცხოვრებამ ბრმათათვისაც კი ცხად ჰყო. რომ ამ უკანასკნელ მოთხოვნილებასაც ანგარიში გაუწიოთ და ქართული გიმნაზიაც დავტოვოთ, ამისთვის საჭიროა ქართულ გიმნაზიის ისეთ კალაპოტში ჩაყენება, რაც მისცემს საშუალებას თავისი თავი თვითონ აცხოვროს. ამისთვის შესაფერ საშუალებად მიგვაჩნია სასწავლო ფასის გადიდება, თუმცა სხვა გიმნაზიებზე, მაინც ნაკლები, დღე, ვისაც სურს კლასიკური განათლება, გადიხადოს შესაფერი სწავლის ფასი და ისწავლოს, მაგრამ ერთს კი უნდა შევეცადნეთ რომ ბინა-შენობა გავუნთავისუფლოთ ვალისაგან და მაშინ, რაკი ბინა უსასყიდლო ექნებათ, სწავლის გადასახადიც შეიძლება ნაკლები იყვეს და ეს კი უფრო მიიზიდავს მოსწავლეთ სამინისტრო სასწავლებლიდან ქართულ გიმნაზიაში; დანარჩენი ფული, რაც ქართულ გიმნაზიაზე იხარჯებოდა დღემდის, უნდა მოხმარდეს შემდეგში ამ საზოგადოების მიერვე ახლად დაარსებულ ქალთა სკოლას, რომელსაც ამ შემთხვევაში სპეციალური ხასიათი უნდა მიეცეს და არა კლასიკური, როგორც ამას მოთავენი ჰფიქრობენ. ვამბობ ქალთა სპეციალურ სკოლას და არა ვაჟთა, რადგანაც დროა თავი დავაღწიოთ იმ ყალბ გზას, რომელსაც ყველაფერში აქამდის ვადექით. დამეთანხმებით, რომ კარგად მომზადებული ოჯახის დედა, ყველაფერია სახლში და მას შეუძლიან მხოლოდ იყვეს ეროვნულ აღორძინების საფუძველადაც.

ამ მხრივ, ჩემის აზრით, უფრო სწორ გზას ადგანან ქალთა საზოგადოებანი „განათლება“ და „ქართველ ქალთა საზოგადოება“, რომელთაც უკეთ შეუგნიათ დღევანდელი სწავლა-აღზრდის პროფესიონალური ხასიათის დიდ-მნიშვნელოვანება და ამ მხრივ, ბევრი ცდა და შრომა უტვირთნიათ. ქალები თითქო უფრო მეტ ენერგიასაც იჩენენ და ყოველ წლივ აფართოვებენ თავიანთ საქმეს; წრეულ „ქართველ ქალთა ამხანაგობამ“ მოიმატა ერთი განყოფილება: ცალკე სამკერვალო; „განათლების“ სასწავლებელმაც მეხუთე კლასი, ყოველნაირ ხელსაქმის შესასწავლად. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორთავ სასწავლებელში საერთო განათლებასაც საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. „განათლება“ უფრო გიმნაზიის ხასიათისაა და პროფესიონალური სწავლა-დამატებითია, ქალთა ამხანაგობის სკოლა კი წმინდა პროფესიანალურია და საერთო საგნებია დამატებითი. ასეთ მიმართულების სასწავლებელთ საზოგადოებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან აქ შეიძლება ჩაეყაროს საფუძველი ეროვნული გრძნობით გამსჭვალულ აღზრდას და შემუშავდეს ტიპი ქართველი ქალისა, რომელიც თავისუფლად გაუძღვება ოჯახს და შთაბერავს ძალას ცხოვრებისას.

სწავლის საქმეს ემსახურება აგრეთვე ჩვენი ერთი საზოგადოებაც მაგრამ ეს სწავლა უფრო სხვა ხასიათისაა — სახელდობრ იგი ემსახურება ჩვენი ეროვნული მუსიკის შესწავლას. ფილარმონიული სა-

ზოგადოება, რომელიც ამ საქმეს უდგია სათავეში, ახალკაზდაა და შეძლების და გვარად ემსახურება თავის მიზანს: წელს სხვათა შორის გახსნეს საფორტეპიანო კლასი და მოწაფეთა რიცხვმაც 111-დან 240-დე იმატა. წინა წლებში, რამდენადაც ვიცით, ოპერებსაც კი სდგამდა ქართულ ენაზედ, წელს კი ეს აღარ ყოფილა; კარგი იქნება არ დაივიწყონ ხოლმე და ყოველ წელს შეძლების და გვარად გამართონ, როგორც ოპერები, ისე ქართული კონცერტები და მარტო საეკლესიო საგალობლებით არ განსაზღვროს თავისი მოქმედება.

მროველი.

(შემდეგი იქნება).

ქართული მუზეუმი



ერთი კუთხე მუზეუმისა. პირველპირ მოსჩანს ისტორიულ პირთა სურათები. პირველ კარადაში გამოფენილია ქათაბი ნატო გაბუნიასი. მეორე კარადა—თბილისის მოქალაქის სადარბაზო ტანისამოსი. მესამე კარადა—თავ. კონს ერისთავის ფერანგი აბრეშუმით ნაქსოვი გულის პირიანი.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

1900 წ. გიორგობისთვის 22-ს ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თაოსნობით თბილისში დაარსდა ქართული ისტორიის და მწერლობის მოყვარულთა პატარა წრე. წრის წევრები, რამდენადაც ნებას აძლევდათ პირობები, შოულობდნენ სახსარს თავის მოქმედებისათვის, ემსახურებოდნენ თავის მიზანს და თავისი წვლილი შეჰქონდათ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ პატარა წრეს შინაურული ხასიათი ჰქონდა და ოფიციალურად არავისაგან იყო ცნობილი.

როცა თავისუფლების სიომ დაჰბერა და ცოტად თუ ბევრად შვება მიეცა ყველას, წრეში იბადება აზრი ახალი საზოგადოების, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“, დაარ-

სებისა და ავალებს ორ პირს წესდების შემუშავებას. თაოსნობა ამ საქმეშიაც ექვ. სვ. თაყაიშვილს ეკუთვნის. ბ-ნი თაყაიშვილი ერთი იმ ორ პირთაგანი იყო, რომელთაც დავალებული ჰქონდა წესდების შედგენა წესდებას ადგენს უმთავრესად ისევ ექვ. სვ. თაყაიშვილი, აცნობებს ჯერ თავის პატარა წრეს და მერე ზოგიერთა გავლენიანი პირის დახმარებით ამტკიცებინებს სათანადო მთავრობას 1907 წ. თიბათვის 30-ს

1908 წ. ენკენისთვის 20-ს ხდება პირველი კრება ახალი საზოგადოებისა; დამსწრე პირები იწერებიან დამფუძნებელ წევრებად და ირჩევენ სამი წლით, 9 კაცისაგან შემდგარ საბჭოს, რომელსაც ევალება საზოგადოების საქმის წარმოება. საბჭოს წევრებად სხვათა შორის კრება ირჩევს ექვ. სვ. თაყაიშვილს და ალ. ივ. სარაჯიშვილს—პირველს საზოგადოების და საბჭოს თავმჯდომარედ, და მეორეს-ხაზინადრად, რომელიც შემდეგში მუზეუმის გამგედაც ხდება.

ხსენებული კრებით იწყებს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება თავის მოქმედებას და პროგრესიული ნაბიჯით მიიმართება წინ.

1910 წელს, შემოდგომაზე, საბჭოში საზოგადოება ისევ ძველ წევრებს სტოვებს; ხდება მხოლოდ ცოტაოდენი ცვლილება, საქმეს ნირი არ ეშლება და ისევ წარმატებაში მიდის.

თავის ხუთი წლის არსებობის დროს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ კარგა ბლომა საქმე გააკეთა საბჭოს უნარიან მოქმედებით, მეტადრე უკანასკნელ სამ წელიწადში. გამართა კარგა რიცხვი კრებებისა, რომელზედაც იქმნა წაკითხული რეფერატები, მოაწყო რამდენიმე ექსკურსია ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში, არქეოლოგიურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალების მოსაკრებად და გაიჩინა თავის წლიური გამოცემები: „საქართველოს სიძველენი,“ რომლებშიაც იბეჭდება სიგელ-გუჯრები და სხვა ძველი საბუთები, და „ძველი საქართველო,“



საინტერესო ჯგუფი ისტორიულ ნივთებისა. მეფე თეიმურაზ II ზარბაზანი; ერეკლე მეფისა (მარჯვნივ) და სოდ. ლეონიძის (მარცხნივ) ხლმები; თოფი, დამბაჩები და ბებუთი — ალექსანდრე ბატონიშვილისა და უზანგები XII საუკ. (გადმოტანილი, დავით ადმაშენებლისა).

სადაც იბეჭდება კრებებზე წაკითხული მოხსენებანი და აგრეთვე ეთნოგრაფიული მასალები. უმთავრესი სახსარი საზოგადოების არსებობისა არის შემწეობა, რომელიც ეძლევა თავად-აზნაურობისაგან.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით საზოგადოების წინაშე თავჯდომარეს ექვ. სვ. თაყაიშვილს და მუზეუმის გამგეს ალ. ივ. სარაჯიშვილს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ესენი სულის ჩამდგმელები არიან საზოგადოებისა. ესენი შოულობენ სახსარს საზოგადოების არსებობისას.

ამ ორი პირის მეოხებით მოკლე ხანში საბჭოს წევრებმა ბლომა არქეოლოგიურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ნივთს მოუყარეს თავი ერთათ და შეჰქმნეს ქართული მუზეუმი. მუზეუმში ქვის ხანი-

დან დაწყებული ჩვენ დრომდე, ყველა ხანის ნივთები მოიპოვება: ბევრია იქ ბრინჯაოსი, სპილენძისა, ვერცხლისა და ლითონის ძველებური ნივთები, ქაშანური და მინის ძველებური ქურჭელი, არის მშვენიერი კოლექცია პორტრეტებისა და ეთნოგრაფიულ ტიპებისა, აგრეთვე ფრესკები და ქართულ ხუროთ-მოძღვრობის ნაშთების ნეგმები; ბლომადაა ქსოვილები და ბევრი სხვა რამ კიდევ. მუზეუმთანვე მოთავსებულია საზოგადოების წიგნთ-საცავი, სადაც თავი აქვს მოყრილი ბლომად ხელნაწერს და ნაბეჭდ წიგნებს და აუარებელ სიგელ-გუჯრებს.

ინ—სანი.

P. S. რედაქცია მადლობას უხდის მუზეუმის გამგეთ, რომ ნება დაგვრთეს სურათების გადაღებისა და დაბეჭდისა. დედ.

სხვისა მასიამოვნებელი

(ჯერომ ვ. ჯერომიდან)

ცხრამეტი თვისას გული ამოესკვნა ტირილით დიდედა რად არის უარსა და მე არ მაკვებინებს თავის თავს კოვზითაო. ეს ასეთ გარემოების ხალხმა მიამბო, რომ ეჭვიც არ შემეპარა და დავიჯერე. სამწლინახევრისა წყლით სავსე ქვევრიდან ამოეთრიათ მეტის-მეტად ქანცმილეული; ქვევრში განსაკუთრებული მიზნისათვის ჩასულიყო: შიგ მჯდომ ბაყაყისათვის თურმე ცურვა უნდა ესწავლებინა.

ორი წლის უკან კიდევ, როცა კატას მაგალითს უჩვენებდა, ასე უნდა ატარო კნუტები, რომ არა ატკინოო, მარცხენა თვალი გაიფუჭა და კარგახნობამდე იყო ასე დასახიჩრებული. დაახლოვებით ამავე ხანს ფუტკარმაც უკბინა, როცა ერთი უღალო ყვავილიდან მეორე ღალიან ყვავილზე გადაჰყავდა.

დიახ სურვილი ჰქონდა მუდამ სამსახური ეწია სხვისათვისა; თუ გინდ მთელი დილაობით შეეძლო დრო საქათმეში ეტარებინა, ემარტნა საპატიო ხნის ქათმებისათვის, როგორ უნდა მჯდარიყვნენ კვერცხებზე და ეჩეკნად წიწილები. დიდი სიამოვნებით იტყოდა უარს სეირნობაზე, არ წავიდოდა ტყეში ხილის საკრებად, ოღონდაც კი ნება მიგეცათ კაკლები ემტვრია თავის საყვარელ ციყვისათვისა. ჯერ კიდევ შვიდი წლისა არ გამხდარიყო, როცა დედას ეკამათებოდა ბავშვების მოვლაზე და უჯავრდებოდა მამას, ცუდ წესს ადგიხარ შვილების აღზრდაშიო.

ბავშობისას ისე არაფერი აკმაყოფილებდა, როგორც სხვა ბავშვებზე თვალის დაჭერა. ამ ადამიანის მომქანცველ, დიდათ ძნელ მოვალეობას თავისი ნებით კისრულობდა და არცარა ჯილდოს მოელოდა, არცარა მადლობას. მასზე უფროსები იყვნენ ბავშვები თუ უმცროსები, ამას სრულიადაც არა ჰქონდა მნიშვნელობა მისთვისა. საცა უნდა ენახა და როცა უნდა ენახა ბავშვები, უთუოდ თავლ-ყურის დევნას დაუწყებდა. აბა რაღა თქმა უნდა ეს ბავშვებს ნაკლებად ჰგვრიდა აღტაცებასა. ერთხელ სასკოლო უქმე დღეს ტყის შორეულ მხრიდან საცოდავი ყვირილი მოისმა; წავიდნენ საქმის გასაგებად და მიწაზე დანარცხებული პოპლტონი კი იპოვეს, ზედ ორის ოდენა ბიძაშვილი წამოსჯდომოდა და გვერდებს უბუბნიდა. როცა საცოდავს თავიდან ჭირი მოაშორეს, მასწავლებელმა ჰკითხა: რატომ პატარებთან არ დარჩი? რას აკეთებდი აქაო?

— მაპატიეთ ბატონო,—გაისმა პასუხი.—მე მასზე „თვალ-ყური მეჭირა“.

ნოეზედაც კი „დაიჭერდა თვალს“, თუ შეხვდებოდა სადმე.

გულკეთილი ბიჭი იყო; ამხანაგებს ჰშველოდა: მთელ კლასს რომ მის რვეულიდან ეწერა, ხმას არ ამოიღებდა, პირიქით თვითონვე ეუბნებოდა, გადასწერეთო.

საუკეთესო განზრახვანი ამოძრავებდნენ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ რვეულები მუდამ შეცდომებითა ჰქონდა სავსე და იქიდან გადმოწერას ძლიერ ცუდი შედეგები მოსდევდა—მერე აშკარად ეტყობოდა, რომ შეცდომები სწორედ პოპლტონისა იყო და სხვა არავისი. ამხანაგებიც, ხომ მოგეხსენებათ ახალგაზდობის ზერელობა, მარტო გადმოწერის შედეგებითა ჰსაჯავდნენ საქმეს და მოტივებს კი არ დაგიდევდნენ, კარებს უკან უხვდებოდნენ და ჰპენტავდნენ ხოლმე პოპლტონსა.

მთელ თავის ძალ-ღონეს სულ სხვის სწავლას ალევდა პოპლტონი, თავისთვის არაფერს ინარჩუნებდა. მოჰყავდა თავის ოთახში უწვერ-ულვაშო ჭაბუკნი და ბოქსით ცემას ასწავლიდა.

— აბა სცადეთ, გამარტყით ცხვირში, — ეუბნებოდა ახალგაზდებს ბოქსიორის პოზაში გამოჭიმული. —ნუ გეშინიათ, გამარტყით რა ძალი და ღონე გაქვთ.

ჭაბუკნიც სცემდნენ რაც ძალი და ღონე ჰნონდათ. პოპლტონი, რასაკვირველია, მოულოდნელ დარტყმისაგან შტერდებოდა, მაგრამ როცა გონს მოდიოდა და ცხვირიდან წავარდნილ სისხლს შეიწყვეტდა ხოლმე ცოტათი მაინც, მაშინვე ეუბნებოდა გამრტყმელებს: ცოტა ისე ვერ გამარტყით, როგორც საჭირო იყოო და უჩვენებდა, აი ასე წესიერად რომ გემოქმედნათ ძლიერ ადვილად ავიცდენდი მუშტსაო.

გოლფის თამაშობის დროს ახალ მოთამაშეს ბურთის გაკვრას ასწავლიდა და ორჯელ ზედი-ზედ გაიფუჭა ფეხი, რის გამოც ერთ კვირაზე მეტი სულ ასკინკილა დადიოდა. მახსოვს, როგორღაც მე თვითონ ვნახე, კრიკეტს თამაშობდა და მისი შუალა ჯოხი გადააქციეს იმ დროს როცა მეორე მოთამაშეს უხსნიდა, თუ როგორ შეიძლებოდა უფრო ადვილად გამოტაცება ბურთისა. ამის უკან დიდხანი ედავებოდა ერთ გარეშე მაყურებელს, ეს ჯოხშ-

ქართული მუზეუმი



კარადა № 30
შეუე გიორგი XII
რხტი (ვერცხლისა, ოქროში დაფერილი).

ქალის რხტი
(შემოწირული მ. ვახ. კნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა).

ქართული უნაგირი, ვერცხლით შეჭედილი (შემოწირული მისგანვე).

მორტყმა და გადაქცევა სათვალავში არ არის მისაღებია.

ერთხელ, როცა აბობოქრებულ ლამანშში მიმისცურავდა გემით, აღელვებული აიჭრა საკაპიტნ სადგომზე — უნდა კაპიტნისთვის შეეტყობინებია თავის ჭკუაში, რომ აი ამ წუთს, ორი მილის სიშორეზე, მარცხნივ სინათლე დავინახეო. როცა კი ომნიბუსით სადმე წასვლა უხდებოდა, ჩვეულებად ჰქონდა, მეომნიბუსეს ახლოს ჯდებოდა და უთითებდა ათასნაირ დაბრკოლებაზე, რომლებსაც შეეძლო მგზავრობა შეეფერხებინა.

მე თვითონ ის პირადად სწორედ ომნიბუსში გავიცანი. ომნიბუსში ჩემს წინ ორი სეფე-ქალი იჯდა. კონდუკტორმა ფულის მოკრება დაიწყო. ერთმა სეფე-ქალთაგანმა ექვს-პენსიანი მისცა და ბილეთი პიკადილამდე სთხოვა: სულ უნდა აეღო კონდუქტორს ორი პენსი.

— არა, ჩემო კარგო, — შეჰნიშნა მეორე სეფე-ქალმა თავის ამხანაგ ქალსა და თან კონდუქტორს შილინგი გაუწოდა. — შენი ექვსი პენსი მმართებს; მომეცი ოთხი და შენ მაგივრადაც მე მე მივცემ და ჩემ მაგივრადაც.

კონდუქტორმა გამოართვა შილინგი, მოხია ორი ორ-პენსიანი ბილეთი, მაგრამ გაოცებული გაჩერდა—არ იცოდა, ხურდა რამდენი დაებრუნებინა.

— ჰო, — განაცხადა მეორე ქალმა, — მიეცით ჩემ ამხანაგს ოთხი პენსი. — (კონდუქტორმა მისცა). — ახლა შენ მე მომე ეგ ოთხი პენსი, — (ამხანაგმა ქალმაც მისცა). — თქვენ კიდევ. — განაგრძო ქალმა და მიმართა ისევ კონდუქტორს, — მე რვა პენსი მომეცით და მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

კონდუქტორმა, ცოტა არ იყოს, უნდობლად მისცა რვა პენსი (ექვს-პენსიანი ფული, რომელიც პირველმა ქალმა მისცა და კიდევ პენი, ორ ნახევარ-ნახევარ პენიანში, რომლებიც აბგიდან ამოიღო) და მოშორდა ბუტბუტით — რაღასაც ამბობდა მოვალეობებზე (ფულის ელვისებური სისწრაფით თვლაზე კი, სწორე მოგახსენოთ არაფერი უთქვამს).

— ეხლა, — მიუბრუნდა უფროსი ქალი უმცროსს, — მე შენ შილინგი უნდა მოგცე.

მეგონა, ინციდენტი ამით გათავდა-მეთქი, მაგრამ ტყუილად.

— ეჰეი, კონდუქტორო, — წამოიძახა მეექვსე ხმით მწითურმა ვაჟ-კაცმა, რომელიც ჩემ პირდაპირ იყო სკამზე გამოჭიმული, — თქვენ მოატყუეთ ეს სეფე-ქალები, ოთხი პენსით ნაკლები მიეცით ხურდა.

— როგორ თუ მოვატყუე და ოთხი პენსით ნაკლები მივეცი? — უპასუხა გულმოსულმა კონდუქტორმა, რომელიც კიბის ზევით საფეხურზე იდგა. — ბილეთები ოროლ პენსიანია.

— ორი და ორი რვა არ არის, — უპასუხა ცხარეთ მწითურმა ჯენტლემენმა. — რამდენი მიეცით, ჩემო კარგო? — მიუბრუნდა ახლა პირველ ქალს და ჰკითხა.

— ექვსი პენსი მივეცი, — უპასუხა ქალმა და ჩახედა პორტმანსა. — მერე კიდევ შენ მოგეცი ოთხი პენსი, გახსოვს? — მიუბრუნდა თავის ამხანაგს ქალსა და შეეკითხა.

— ძვირად ჯდება, როგორც ეტყობა ორ-პენსიანი მგზავრობა, — დაუმატა უკანა სკამზე მჯდომმა ფუქსავატ გარეგნობის ადამიანმა.

— შეუძლებელია ეგ, ჩემო კარგო, — უპასუხა მეორე ქალმა პირველსა. — ეს ხომ მე მემართა თავდაპირველადვე შენი ექვსი პენსი.

— მაგრამ მაინც მოგეცი, — ამბობდა თავისას პირველი.

— თქვენ მე შილინგი მომეცით, — სთქვა უკან დაბრუნებულმა კონდუქტორმა და მიიშვირა სალოკი თითი უფროსს ქალისაკენ მამხილებელივით.

ქალმა თავი დაუქნია.

— მე თქვენ ხურდათ ექვს-პენსიანი და ორი პენი მოგეცით არა?

ქალმა კიდევ დაუქნია თავი.

— მათ კი, — სთქვა კონდუქტორმა და გაიშვირა თითი უფრო ახალკაზდა ქალისაკენ, — ოთხი პენსი, მართალია თუ არა?

— რომელიც, გახსოვს, ჩემო კარგო, შენ მოგეცი, — შეჰნიშნა უმცროსმა ქალმა უფროსსა.

— მაშ თუ მე არა ვარ მოტყუებული და აი ნახავთ! — წამოიძახა კონდუქტორმა — ოთხი პენსი, მგონი მე გადმომიყოლებია.

— მერე და, მეორე სეფე-ქალმაც ხომ მოქცათ ექვს-პენსიანი, — სთქვა მწითურმა ვაჟკაცმა.

— რომელიც აი ამათ მივეცი, — უპასუხა კონდუქტორმა და ისევ გაიშვირა მამხილებელი თითი უფროს ქალისაკენ. — შეგიძლიანთ ჩემი აბგაც გაჩხრიკოთ, თუ გსურთ. მეტი აღარა მაქვს ეს დაწყეველილი ექვს-პენსიანი ფული.

ამასობაში ყველას უკვე დაჰვიწყებოდა, ვის რა მოექმედნა, და თავის თავისა და ერთმანეთის საწინააღმდეგო სიტყვას ამბობდნენ.

საქმის გამორკვევა და გამოსწორება მწითურმა ვაჟკაცმა იკისრა და შედეგად ის მოჰყვა, რომ

სანამ პიკადილას მივახწევდით, მანამ უკვე სამი თანამგზავრი ემუქრებოდა კონდუქტორს, გიჩივლებთ მაგ უშვერ სიტყვებისათვისაო. კონდუქტორმა კიდევ წეს-რიგის დამცველს დაუძახა და უბრძანა ორივე ქალის გვარი და მისამართი ჩაეწერნა—უნდოდა ოთხი პენსი გადაეხდევინებინა (ქალებს სულითა და გულით ჰსურდათ ოთხი პენსის მიცემა, მაგრამ მწითური ვაჟკაცი ნებას არ აძლევდა); უმცროსი ქალი იმ რწმენამდე მივიდა, რომ უფროსს მისი მოტყუება უნდოდა, უფროსი კიდევ ტიროდა.

მე და მწითურმა ჯენტლემენმა სადგურ ჩარინგ-კროსამდე ვიარეთ. კასასთან აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთი და იმავე მხარეს მივემართებოდით. მთელი გზა სულ ოთხ პენსზე მელაპარაკებოდა.

ჩემი სახლის კარებთან თავაზიანად გამომეთხოვა, ხელი ჩამომართო. დიდად ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ მისი ახლო მეზობელი ვიყავი. რა ნახა ჩემში ისეთი, რომ არ მშორდებოდა, ვერ მივხვდი, თუმცა მთელი გზა, რაც ძალი შემწევდა სულ იმას ვცდილობდი, რომ სიტყვა გამეწყვეტინებინა, რადგანაც ძალიან მომაბეზრა თავი. შემდეგ გავიგე, რომ სხვა ბევრთან ერთად ასეთი თვისებაცა ჰქონდა: ყოველი ადამიანი, რომელიც კი აშკარად შეურაცხყოფას არ აყენებდა, ცათაფრენასა ჰგრიდა.

სამი დღის უკან დაუკითხავათ შემოიჭრა ჩემ სამუშაო ოთახში (ეტყობოდა, თავის თავს ჩემ ახლო მეგობრადა სთვლიდა) და მთხოვა, ღვთის გულისათვის მაპატიე, რომ ასე გვიან გამოვცხადდიო. მე, აბა რაღა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით ავუსრულე თხოვნა.

— გზაში ფოსტალიონი შემომეყარა და ეს თქვენთვის გადმომცა, — სთქვა გაცხარებით და მომაწოდა ლურჯი კონვერტი.

საწყალსაყვანო კონტორის განკარგულება იყო ფულების გადახდის შესახებ.

— უნდა პროტესტი განუცხადოთ, — მეუბნებოდა, სტუმარი. — ეს გადასახადი წყლისა ენკენისთვის 29-მდეა. უფლება არა აქვთ, მოგთხოვონ ეს ფულები თიბათვეში.

მე ვუპასუხე, ხომ მაინც საჭიროა წყლის ფულის გადახდა და სულ ერთი არ არის, თიბათვეში მისცემს ადამიანი თუ ენკენისთვეში-მეთქი.

— არა, — მიპასუხა სტუმარმა, — ეს პრინციპიალური საკითხია. აბა რად უნდა გადიხადოთ ფული იმ წყალში, რომელიც ჯერ არ დაგიხარჯავთ? ან რა უფლება აქვთ გამოგართვან ფული, რომელიც ჯერ არა გმართებთ?

ისე მჭერმეტყველურად ლაპარაკობდა, და მეც იმდენად ტუტუცი ვიყავი, რომ ყურს ვუგდებდი. ნახევარ საათის განმავლობაში პოპლტონმა დამარწმუნა, რომ ეს საკითხი ადამიანის შეურყეველ უფლებასთან იყო გადაბმული და თუ გადვიხდიდი 14 შილინგს და ათ პენსსა ენკენისთვის მაგიერ თიბათვეში, უთუოდ და უთუოდ ჩემი წინაპრების მიერ სისხლით მოპოვებულ უფლებების არ ღირსს ადამიანად გადავიქცეოდი.

ასე მითხრა, საწყალსაყვანო საზოგადოებას არავითარი ნიადაგი არა აქვს ფეხ-ქვეშაო. დავუჯერე მეცა, დავჯექი და შეურაცხმყოფელი წერილი მივწერე „საზოგადოების“ დირექტორსა.

„საზოგადოების“ მდივანმა ამგვარი პასუხი მომცა: თქვენ მიერ საქმის ასე დაყენების გამო, ამ საკითხს განვიხილავთ ისე, როგორც საჩივარსა და იმედია, თქვენი რწმუნებულები დაუყონებლივ შეუდგებიან შენი ინტერესების დაცვასაო.

როცა ეს წერილი ვუჩვენე პოპლტონსა, ცას დაეწია სიხარულით.

— მე მომანდეთ ყველაფერი. — სთქვა პოპლტონმა და წერილი ჯიბეში ჩაიდო. — მე ვაჩვენებ სეირს იმათ!

მართლაცა და, მთელი საქმე ამას მივანდე. ჩემ გასამართლებლად მხოლოდ ერთიღა ის შემიძლიან ვსთქვა, რომ ამ დროს ეგრედ წოდებულ კომიკურ დრამის წერაში ვიყავი გართული და მთელი ჩემი საღი საზრიანობა, რომელიც მე მქონდა კიდევ, ამ საქმეზე იხარჯებოდა.

მომრიგებელ მოსამართლის გადაწყვეტილებამ მე ცოტა არ იყოს გული ამიკრუა, მაგრამ პოპლტონი კი უფრო მეტად გააგულისა. ასე მითხრა, მომრიგებელი მოსამართლეები არაფრის მცოდნე ჭკუაჩლუნგი ხალხია. ეს საქმე გასარჩევად სახელმწიფო მოსამართლეს უნდა გადაეცესო.

სახელმწიფო მოსამართლე კეთილი მოხუცი ადამიანი აღმოჩნდა. ხელშეკრულობის ქაღალდი ცოტა ბუნდოვანად იცნო, წყალსაყვანის საზოგადოებას მთლიანად არ გადუწყვიტა ნაჩივლი და მე-714 შილინგითან და 10 პენსთან ერთად 50 გირვანქა სტერლინგზე ცოტათი ნაკლები ფულის გადახდა მომინდა.

ამის უკან მე და პოპლტონის მეგობრობამ კლება იწყო, მაგრამ, რადგანაც ლონდონის ერთი და იმავე შორეულ ადგილას ვსცხოვრობდით, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ამასაც კი ვიტყ-

ვი, შეუხვედრავადაც ბევრი ამბები მესმოდა პოპლ-ტონზე.

განსაკუთრებით თავს იჩენდა ხოლმე პოპლ-ტონი საზოგადოებაში, ყოველნაირ ნადიმზე, საღამოებზე და სხვა ამისთანებზე. ამ დროს არც ერთი ადამიანი იმდენ ძალ-ღონეს არა ხარჯავდა ხალხის გასამხიარულებლად, ამასთანავე იმდენ სასოწარკვეთილებასა და გულის კვნესას არ ჰგვრიდა, რამდენსაც ჩემი ნამეგობრალი. რამდენადაც გულ-კეთილობისა და მოსიყვარულობის გუნებაზე იქნებოდა პოპლტონი, იმდენად უნდა მოჰრიდებოდა კაცი.

როგორღაც შობა დღეს ერთ ჩემ კაი ნაცნობთან შევიარე და შემდეგი სურათი წარმომიდგა თვალწინ: 14—15-მდე ხანში შესული მანდილოსანი და ჯენტლემენი დიდის ზეიმით უვლიდა გარს სკამებს, რომლებიც სასტუმრო ოთახის შუა გულში გამოედგათ, და პოპლოტინი კიდევ როიალზე უკრავდა. დრო და დრო ჩემი ნამეგობრალი უცბად ჩერდებოდა, და ყველანი მძიმედ ეშვებოდნენ ახლო მდგომ სკამების საჯდომებზე, გარდა ერთისა, რომელიც ნელ-ნელა იპარებოდა ოთახიდან და დანარჩენები კი შურით თვალს ადევნებდნენ უკან. მე კარებთან ვიყავ გაჩერებული და ვუცქეროდი ამ ამბავს, როცა მომიახლოვდა სასტუმროდან გამოპარული მოთამაშე. შევეკითხე რას ნიშნავს ესა-მეთქი.

— ნუ მკითხავთ, თუ ღმერთი გწამთ,—მიპასუხა დაღვრემილმა.—ეს პოპლტონის ერთი დაწყევლილ სისულელეთაგანია.—და გაავზნებულმა დაუმატა.—შემდეგ ახლა ფანტობანა მოგველის.

მოახლე გოგო ხერხიან დროს ეძებდა, რომ ჩემი მოსვლა შეეტყობინებინა. შილინგი მივეცი, რომ ხმა არ ამოელო, და მოვკურცხლე შინისაკენ.

სადილთ უკან პოპლტონს მაძღარისათვის სახელ-დახელო ბალის მითავაზებაც შეეძლო. მაშინვე ან ხალებს აგახვევინებდათ ან არა და თავისთან ერთად როიალს მთელი ოთახის გარს შემოგარებინებდათ.

იმდენი თამაშობები იცოდა, რომ თამამად შეეძლო საკუთარი განწმენდის სასახლე დაეარსებინა. ვსთქვათ გართული ხართ საინტერესო ლაპარაკში ან ზიხართ პირის-პირ ლამაზ ქალთან და სიამოვნობთ, უცბათ თოვლივით გეცემა თავს პოპლტონი, გეუბნებათ; მოდით, მოდით ჩქარა „ლიტერატურულ ოქმიანობას„ ვთამაშობთო, და როცა მაგიდასთან მიგიყვანთ, გაძლევთ ქაღალდსა, კარანდაშსა, გიბრძანებთ ამიწერეთ თქვენი საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალიო, და თვალს გადევნებთ, რომ ყველაფერი შეასრულოთ.

თავისდღეში არ იშურებდა თავის ძალ-ღონეს. აცილებდა თავის ნებით ხანში შესულ ქალებს რკინის გზის სადგურზე და თავს არ ანებებდა, ვიდრე მშვიდობით არ ჩასხავდა. . სულ სხვა მატარებელში. ეთამაშებოდა ბავშვებს „გარეულ მხეცობანას“ და ისე აშინებდა საწყლებს, რომ ღამე სულ კრუნჩხვა ემართებოდათ.

მთელ დედამიწის ზურგზე ვერ იპოვიდით პოპლტონისთანა კეთილ კაცსი ისე არ ნახავდა ავადმყოფს, რომ თან რაიმე ტკბილეულობა არ მიეტანა. ეს ტკბილეულობა ისეთი იყო ხოლმე, რომ ავადმყოფობას უთუოდ აავებდა. არ შეიძლებოდა რომ ზღვაზე სეირნობა არ გაემართა საკუთარ ხარჯით და ისეთი ხალხი არ მიეწვია, რომლებიც ვერ იტანდნენ ზღვასა. მოწვეულების ტანჯვას ისე უცქეროდა, როგორც სიკეთის დაუნახავობასა.

ქორწილების გამართვაც უყვარდა პოპლტონსა. ერთხელ ისე მოახერხა, რომ სადედოფლო სანეფოზე სამჩარე} საათით ადრე გამოცხადდა ეკლესიაში, რამაც დღე სიხარულისა უსიამოვნო დღედ აქცია. ერთხელ კიდევ მღვდლის მოწვევა დაავიწყდა.

მაგრამ ჩემი ნამეგობრალი მზად იყო ყოველთვის თავის შეცდომები ელიარებინა.

დასაფლავებაზედაც თავის ღირსეული ადგილი ეჭირა. დარდით მოკლულ ნათესავებს სამძიმარს ეუბნებოდა მუდამ, კარგია, რომ განსვენებული, გადაიცვალაო და იმედს უცხადებდა, რომ ისენიც მალე თან გაჰყვებოდნენ.

მაგრამ პოპლტონი ყველაზე ძლიერ მაშინ გრძნობდა სიამოვნებას, როცა ვისიმე შინაურ საქმეებში ერეოდა. არც ერთი ჩხუბი არა ხდებოდა შინაურობაში ისე რამდენიმე მილის სივრცის გარშემო, რომ ის არ დასწრებოდა. მოჩხუბართ შორის ჩვეულებრივ შუაკაცობასა სწევდა და ისე მიჰყავდა საქმე, რომ უნდა უთუოდ უმთავრეს მოწმად გამხდარიყო ან მომჩივარ ქალისა ან მომჩივარ ვაჟისა.

ჟურნალისტი ან პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, პოპლტონი თავის გასაოცარ თვისებით, „სხვის საქმეებში გარევით“, დიდ პატივს დაიმსახურებდა თანამოქალაქეებისას, მაგრამ შეცდომა ამ კაცისა სწორედ ის იყო, რომ თავის ნიჭს პრაქტიკაზე ავარჯიშებდა.

ირ. სონღულაშვილი.

მთავარი ამბები 1912 წლისა

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში



ქართულ ეროვნულ ჯგუფთა ბლოკი და ლ. ანდრონიკაშვილი

ამით სარგებლობენ



კარლო ჩხეიძე და სოლოლაკის „პროლეტარიატი“

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში

(გადმოღებული სინემატოგრაფიდან)

ხალხი: ჩვენო სასიქადულო მგოსანო... **გიგო და სოსიკო:** გ...მადლობთ, გ...მადლობთ...

ლადო ბზვანელი: (სწერს კორესპონდენციას სიგრძით 3,000 მეტრს) ბზზ...ზ...ნადიმი...სადილი...

მეჯლისი... სოსიკო,გიგო... სადღეგრძელო.....

(**შემდეგი იქნება**)

მოგვილოცავს ახალი წელიწადი!

რედაქტორ-გამომცემელ **რ. გაბაშვილი**

ელექტრომბეჭდავი სტამბა ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.